საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №46 (2746) ოთხშაბათი, 25 თებერვალი, 1998 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

ნომერში!

## ვიზიტი წარმატებული იყო

გუშინ გვიან ღამით თბილისს დაბრუნდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, რომელიც ერთდღიან ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა უზბეკეთში.

როგორც უზბეკმა კოლეგებმა გვაცნობეს, ბატონ ზურაბ ჟვანიას ვიზიტი ქვეყნის პოლიტიკური წრეებისა და საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა, ნაყოფიერი და შედეგიანი იყო სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით.

დაწვრილებითი ინფორმაცია — ხვალინდელ ნომერში.

ნაბიჯი გადაწყვეტისკენ

## შეხვედრა მოსკოვში

საქართველოს ტელევიზიის მოსკოველი კორესპონდენტის ცნობით, გუშინ რუსეთში, საქართველოს საელჩოს შენობაში, თბილისის დროით 17 საათზე, დაიწყო რუსეთში საქართველოს ელჩის ვაჟა ლორთქიფანიძის შეხვედრა ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პარლამენტის ვიცესპიკერთან ნემო ბურჭულაძესთან. წინასწარ, შეხვედრამდე, მოსალაპარაკებლად ნემო ბურჭულაძის მხარემ საქართველოს საელჩოში გაგზავნა თენგიზ ჩაჩავა, რომელმაც განაცხადა, რომ „არავითარი წინასწარი პირობების წარდგენას არ აპირებენ, პირობებს აყენებენ ტერორისტები, რომლებსაც მძევლები ჰყავთ აყვანილი".

შეხვედრისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ უკვე შეხვედრამდე საქართველოს საელჩოს შენობაში რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების – როგორც პრესის, ასევე ტელევიზიების წარმომადგენელთა უჩვეულო სიმრავლე შეიმჩნეოდა.

(მოამბე-ექს-პრესი).

პრეზიდენტის სამუშაო დღე

# შვიდი სახელმწიფოს ელჩებმა საქართველოს პრეზიდენტს რწმუნების სიგელები გადასცეს



რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

24 თებერვალს დილით გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისათვის შვიდი სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების რწმუნების სიგელების გადაცემის ცერემონია. საქართველოში თავიანთი ქვეყნების დიპლომატიური მისიების მეთაურთა რანგში მათი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები გადასცეს ელჩებმა ჟიულ ანტუან ლალეიმ (ბენინი), ჯეიმ ს. ბაუტისტამ (ფილიპინები), მარია მაჩადო გვინტელამ (ბრაზილია), დიედონე ესიენმა (კოტ დივუარი), გდე არსა კაჯარიმ (ინდონეზია), ვიდია ღუმან სონიმ (ინდოეთი) და სონ სენ პჰირიმ (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა).

ელჩების სახელით ცერემონიაზე გამოვიდა საქართველოში ბენინის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჟიულ ანტუან ლალეი.

ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, ხაზი გაუსვა ჟიულ ანტუან ლალეიმ, რომ პოლიტიკა, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე ახორციელებს, მიზნად ისახავს მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებას. მან განაცხადა, რომ ახალი ელჩების საქმიანობაც ამ მიზნების მიღწევას, საქართველოსა და მათი სახელმწიფოების დაახლოებასა და პარტნიორული ურთიერთობის დამყარებას მოხმარდება. ყველა ელჩის სახელით ჟიულ ატუან ლალეიმ საქართველოს პრეზიდენტს უსურვა ჯანმრთელობა და ბედნიერება, მის ქვეყანასა და ქართველ ხალხს – მშვიდობა და აყვავება.

ედუარდ შევარდნაძე მიესალმა ელჩებს, მათი სახელმწიფოების ხელმძღვანელებსა და ხალხებს. საქართველო, თქვა მან, არც ისე დიდი ხანია დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგა. სამწუხაროდ, ეს გზა ძნელი აღმოჩნდა. ვერ ავიცილეთ თავიდან სისხლიანი კონფლიქტები და სამოქალაქო ომი. საბჭოთა იმპერიის დამლამ გამოიწვია, აგრეთვე, ეკონომიკური სიძნელეები, რომლებიც საქართველოში ყოველი ოჯახის ცხოვრებაზე აისახა. მაგრამ, განაცხადა პრეზიდენტმა, უკვე დაიწყო სტაბილიზაციის, ეკონომიკური აღორძინების პროცესი. საქართველო, ხაზი გაუსვა ედუარდ შევარდნაძემ, კვლავაც ამ გზით აპირებს წინსვლას. დღეს იგი კონსტიტუციური სახელმწიფოა ყველა დემოკრატიული ინსტიტუტით.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა წლებში მოუხდა თითქმის ყველა იმ ქვეყანაში ყოფნა, რომელთა ელჩები ესწრებიან შეხვედრას, და სთხოვა მისი სახელით ამ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს, ხალხებს, უსურვეონ ბედნიერება და აყვავება. ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა რწმენა, რომ ახალი ელჩების მუშაობა სასარგებლო და ნაყოფიერი იქნება, ხელს შეუწყობს მათი სახელმწიფოებისა და საქართველოს დაახლოებასა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის დამყარებას.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური - საქინფორმი.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის

## ბრძანებულება

1998 წლის 22 თებერვალი ქ. თბილისი

გ. ქავთარაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარების, მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი საშემსრულებლო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი პიანისტი გულნარა ქავთარაძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის

## ბრძანებულება

1998 წლის 22 თებერვალი ქ. თბილისი

ნ. დოლიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამამულო ქირურგიის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრის პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ნოდარ დოლიძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

გუშინ

## ორმხრივი დიალოგის ფარგლებში

24 თებერვალს საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილის ხელმძღვანელობით სოხუმს გაემგზავრნენ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, მათ შორის, საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრი ფრიდონ ინჯია, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით ზუბიტაშვილი, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გიორგი ჭანტურია.

ორმხრივი დიალოგის ფარგლებში გაიმართა მოლაპარაკება აფხაზთა ხელისუფლების ლიდერთან ვლადისლავ არძინბასთან.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.



## სავალუტო ფონდი რეკომენდაციებს გვთავაზობს

საქართველოში ორი კვირაა იმყოფება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია ემანუელ ვან დერ მენსბურგის ხელმძღვანელობით. 24 თებერვალს მისიის წევრები მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

მისიის ვიზიტის ფარგლებში მიღწეულია შეთანხმება ისაფის სამწლიან პროგრამაზე. გარდა ამისა, მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია მოლაპარაკებამ 1998 წლის ეკონომიკურ პროგრამასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება საბანკო სისტემას, სავალუტო ფონდი დადებითად აფასებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ახლახან შემუშავებულ ეკონომიკურ ნორმატივებს, რაც, თავის მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქვეყნის საბანკო სისტემის შემდგომი გაძლიერებისათვის.

რაც შეეხება ეროვნული ბანკის პრობლემას, სტუმრების აზრით, ბანკის პრეზიდენტის დაუმტკიცებლობის გამო ბანკი სერიოზულად ზარალდება. იგი თანდათანობით სუსტდება და, აქედან გამომდინარე, ნაკლებად ქმედითუნარიანი ხდება შეასრულოს დასახული ეკონომიკური ნორმატივები და გააძლიეროს ქვეყნის საბანკო სისტემა. ემანუელ ვან დერ მენსბურგის განცხადებით, ის პოლიტიკა, რომელსაც ეროვნული ბანკი ბოლო სამი წლის განმავლობაში ახორციელებს, წარმატებულია მრავალი მიმართულებით. ამის გამო სავალუტო ფონდი მთლიანად უჭერს მხარს ეროვნული ბანკის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას.

შეხვედრაზე ისაუბრეს 1997 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და წლევანდელი ბიუჯეტის მიმდინარეობის შესახებ. როგორც აღინიშნა, 1997 წლის ბიუჯეტის მიზნობრივი მაჩვენებელი საერთო ჯამში შესრულდა. ამასთან, გამოიკვეთა ბევრი დადებითი მომენტი, მათ შორის, საგადასახადო პოლიტიკის შემდგომი განმტკიცება.

საქართველოს პრეზიდენტის განმარტებით, ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპი ქვეყანაში წარმატებით უნდა განხორციელდეს. ამისათვის რეალური საფუძველი არსებობს.

ტერაქტი

## კვალს, ისევ და ისევ, რუსეთისკენ მივყავართ

### ბოროტების ხის მოჭრით კი არა, ფესვების ამოძირკვით გვეშველება

9 თებერვლის თბილისის ტერორისტული აქტისა და 19 თებერვალს ცეცხლზე ნავთის გადასხმის – ზუგდიდში მძევლების გატაცების შემდეგ, გამოძიებასთან დაკავშირებული ყოველი ამა თუ იმ პასუხისმგებელი პირის განცხადება მასმედიისა და საზოგადოებრიობის ცხოველ ინტერესს იწვევს, ამდენად, გასაგებია, რომ საქართველოს გენერალური პროკურორის პრესკონფერენცია, რომელიც გუშინ, 24 თებერვალს გაიმართა, პირდაპირ დახუნძლული იყო პრესის წარმომადგენლებით.

დასაწყისშივე ბატონმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა განაცხადა, რუსეთის ხელისუფალნი ყოველნაირად აფერხებენ იმ დამნაშავეთა გადმოცემას, რომლებსაც საქართველოში ჩადენილი აქვთ უმძიმესი დანაშაული და მათზე გაცემულია დაპატიმრების სანქციები (გ. აბსანძე, ტ. გელანტია, ნ. ბურჭულაძე, ი. გიორგაძე, ი. გულიევი, ე. ნასყიდაშვილი და სხვები).

იხ. მე - 2 გვ.





ყრილობა

*როგორც ვიუწყებოდით, 22 თებერვალს დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მესამე ყრილობა.*

*ყრილობაზე გამოსულმა ორატორებმა იმსჯელეს ქვეყანაში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ-სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებზე. ბუნებრივია, ყველა გამომსვლელი განსაკუთრებული აღშფოთებით ლაპარაკობდა 9 თებერვლისა და 19 თებერვლის ტერორისტულ აქტებზე, მათი დამკვეთებისა და შემსრულებლების განზრახვაზე — ქვეყანაში გამოიწვიონ დესტაბილიზაცია. ფორუმზე ითქვა, რომ საქართველოს მოსახლეობა არ დაუშვებს დემოკრატიული გზიდან იოტისოდენა გადახვევასაც კი, რადგან მან უკვე მოახდინა თავისი არჩევანი და ვერავითარი ძალა ვერ აიძულებს უკან დაიხიოს.*

*ამგვარი რწმენით, ამგვარი გადაწყვეტილებებით, რომ კვლავ აშენონ ერთიანი, განუყოფელი, ძლიერი, დემოკრატიული საქართველო, წარიმართა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მესამე ყრილობა, რომელმაც დასახა მოქმედების რეალური გეგმა და სამომავლო ამოცანები.*

*ყრილობამ საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარედ კვლავ აირჩია საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, გენერალურ მდივნად — მიხეილ მაჭავარიანი.*

*ყრილობაზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ და საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა.*

*გთავაზობთ მათი გამოსვლების ძირითად დებულებებს.*

იხ. მე - 3 გვ.

ჯიხაშკარი – მიზიდულობის ცენტრი





დავით ხიზანიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სასამართლო

## „მე დღესაც მხედრიონელი ვარ!"

რახან გოჩა თედიაშვილმა სასამართლო პროცესზე ჩვენებები არ მისცა, მისი საქმე კოლეგიამ სწრაფად და უმტკივნეულოდ მოათავა. ცოტაოდენი კამათი ბოლო ვიდეოფირმა გამოიწვია. სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობის ადგილზე გაყვანამ და გოჩა თედიაშვილის გულახდილმა აღიარებამ განსასჯელებიც გააწიწმატა და ადვოკატებიც...

— ფირზე თარიღი არაა, — რატომ?

— შემთხვევის ადგილზე ხუთი თვის შემდეგ გაიყვანეს, — რას ელოდებოდნენ?

— გამომძიებელი ბევრს ლაპარაკობს, ბრალდებული კი ცოტას, — მიზეზს არ კითხულობთ?

— საბრალდებო დასკვნაში სხვა წერია, აქ კი სხვას ლაპარაკობენ, — ვერ ამჩნევთ?

— თედიაშვილს თვალები ჩალურჯებული აქვს, ყბები კი მონგრეული, — ვერც ამას ხედავთ?

შემთხვევის ადგილზე გაყვანის შემდეგ შედგა ოქმი, რომელზეც ხელი მოაწერეს ბრალდებულმაც, თანამოწმეებმაც. ამიტომაც პროკურორმა მირზა დოლიძემ იკითხა:

— რატომ მოაწერეთ ხელი ოქმს, თუ რაიმე დაგაძალეს, თუ რაიმე სიყალბე ჩაიდინეს?

გოჩა თედიაშვილი გაირინდა.

იხ. მე - 9 გვ.

უკანასკნელ საათს

## მშვიდობა შენარჩუნებული იქნება

გუშინ ბაღდადიდან ნიუ-იორკს დაბრუნდა გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი, რომელსაც გაეროს შტაბბინაში შეკრებილი დიპლომატები ოვაციით შეხვდნენ.

გუშინვე გაიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს კოფი ანანის სამშვიდობო მისიის შედეგები. მოსალოდნელი იყო სერიოზული კამათი, რომლის დროსაც რუსეთი და აშშ ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებს დაიცავდნენ.

მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ კონსენსუსს მაინც მიაღწევენ მას შემდეგ, რაც კოფი ანანი – სადამ ჰუსეინის მოლაპარაკების დეტალებს გაეცნობიან.

გაზეთის ხელმოწერის დროისთვის გაეროს უშიშროების საბჭოს დახურული სხდომის შედეგები ცნობილი არ იყო.

ინფორმაცია

### დადგინდა სესიის დღის წესრიგი

24 თებერვლის საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომას უძღვებოდა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ელდარ შენგელაია.

განიხილეს მომავალი სესიო კვირის პლენარული სხდომის დღის წესრიგი, რომელიც 4-6 მარტს გაიმართება. დაზუსტდა იმ კანონპროექტთა ნუსხა, რომლებიც პარლამენტმა უნდა განიხილოს.

პარლამენტის აპარატის უფროსმა ხათუნა გოგორიშვილმა ბიუროს წევრებს მიმართა თხოვნით, პლენარული სხდომის დღის წესრიგში ერთ-ერთ საკითხად შეეტანათ პარლამენტის აპარატის ანგარიში ორი წლის საქმიანობის შესახებ. აღინიშნა, რომ ზოგიერთმა პარლამენტარმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოთქვა საყვედური აპარატის მუშაობასთან დაკავშირებით, რასაც ბიუროს წევრები არ დაეთანხმნენ. ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საკითხი შეისწავლოს საპროცესო საკითხთა კომიტეტმა.

პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანილია, აგრეთვე, სამთავრობო საათი, რომელზეც განათლების მინისტრს თამაზ კვაჭანტირაძეს მოიწვევენ.

### უზბეკეთის დელეგაცია – თბილისში

დღეს თბილისში ჩამოდის უზბეკეთის რესპუბლიკის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოსა და უზბეკეთის ორმხრივი თანამშრომლობის სამთავრობათშორისო კომისიის მუშაობაში. დელეგაციას მეთაურობს უზბეკეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე ისმაილ ჯურაბეკოვი.

კომისიის სხდომამდე გაიმართება საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ნიკოლოზ ლეკიშვილის საუბარი ისმაილ ჯურაბეკოვთან.

ვარაუდობენ, რომ ვიზიტის დროს ხელს მოაწერენ დოკუმენტების პაკეტს საქართველოსა და უზბეკეთის თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების შესახებ. მათ შორისაა სამთავრობათშორისო შეთანხმებანი ტრანზიტის წესის, საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის საკითხებში თანამშრომლობის, სამკურნალო საშუალებათა რეგისტრაციის ურთიერთაღიარების შესახებ.

ორდღიანი ვიზიტის პროგრამაშია შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან.

### შეხვედრა მარინოვის სკანდალთან დაკავშირებით

24 თებერვალს საქართველოს პარლამენტის მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარე გურამ შარაძე შეხვდა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის მსოფლიო ფედერაციის საქართველოს მისიის მუდმივ წარმომადგენელს ნილს სკოტს და მისიის წევრებს. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

შეხვედრის მიზანი იყო ალექსანდრე მარინოვის გახმაურებულ სკანდალთან დაკავშირებით უშუალოდ პირველწყაროდან განმარტების მიღება.

გურამ შარაძე და ნილს სკოტი შეთანხმდნენ, რომ შეხვედრები რეგულარული გახდება, შედეგებს კი საზოგადოებრიობას გააცნობენ.

### სერგეევის ჩამოსვლა გაურკვეველი ვადით გადაიდო

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის იგორ სერგეევის ვიზიტი საქართველოში, რომელიც 27-28 თებერვლისთვის იყო დაგეგმილი, გაურკვეველი ვადით გადაიდო.

ექსპერტები აცხადებენ, რომ ეს ყველაფერი საქართველოს პრეზიდენტის მიერ ტერაქტში რუსეთის დადანაშაულებასთან არის დაკავშირებული.

### ერქვანია პესიმისტურად არის განწყობილი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზურაბ ერქვანიას განცხადებით, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, ვაჟა ლორთქიფანიძესა და ექს-პრეზიდენტის თანამოაზრე ნემო ბურჭულაძეს შორის შეხვედრის მიზანი და დანიშნულება მისთვის გაუგებარია და რაიმე კონკრეტული შედეგის მიღწევას იგი ამ შეხვედრისაგან არ ელოდება.

### დევნილებმა შემწეობა მიიღეს

24 თებერვალს საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრი თენგიზ გაზდელიანი ზუგდიდს გაემგზავრა, სადაც შეხვდა ზუგდიდის რაიონისა და სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელებს, რაიონში განსახლებულ დევნილებს. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა დევნილ პენსიონერებზე კუთვნილი თანხების დროულად გაცემასთან დაკავშირებით. გაზდელიანმა დაუყოვნებლივ დახმარება აღუთქვა მათ. დღესვე იგი სენაკს გაემგზავრა. გუშინ ზუგდიდში დაიწყო თებერვლის თვის შემწეობის თანხების გაცემა რაიონში განსახლებული დევნილებისთვის.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „იბერიამ" და „ბეამ".

რწმენა



## დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისა

ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც კარიბჭის ღვთისმშობელს ანუ „პორტაიტისას" უწოდებენ, უდიდეს სიწმიდეს წარმოადგენს ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის. ამდენად, ყველაფერი, რაც კი ამ წმიდა და სასწაულმოქმედ ხატთან არის დაკავშირებული, უაღრესად საყურადღებო და მნიშვნელოვანია. გადმოცემა კი მის შესახებ შემდეგს გვაუწყებს.

იხ. მე - 10 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 46. ოთხშაბათი, 25 თებერვალი: 1998 წელი.

## კადრები

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1998 წლის 20 თებერვალი ქ. თბილისი

**გ. ბარამიძის სომხეთის რესპუბლიკაში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ**

გათავისუფლდეს **გრიგოლ ბარამიძე** სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობიდან სამსახურებრივი შეუთავსებლობის გამო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის საფუძველზე.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1998 წლის 20 თებერვალი ქ. თბილისი

**ნ. ნიკოლოზიშვილის სომხეთის რესპუბლიკაში საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს **ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი** საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად სომხეთის რესპუბლიკაში.

**ე. შევარდნაძე.**

## ჯიხაშკარის აქცენტები

### გახოკიძე მოლაპარაკებების დაჩქარების მომხრეა

გუშინ ზუგდიდის მერიის შენობაში უშიშროების მინისტრმა ბრიფინგი გამართა, რომელზეც ჟურნალისტებს აუწყა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ტერორისტების მიერ მოთხოვნის შესრულება „კანონიერ ხელისუფლებასთან“ მოლაპარაკების თაობაზე რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ვაჟა ლორთქიფანიძეს დაავალა. გახოკიძის ინფორმაციით, იგი ესაუბრა ლორთქიფანიძეს მოსკოვში, რომელმაც აცნობა, რომ იგი უკვე დაუკავშირდა ნემო ბურჭულაძეს და შუამდგომლობა თავის წარმომადგენელს ჩაჩავას დაავალა. ამ წუთებში მხარეები აზუსტებენ შეხვედრის დროსა და ადგილს.

თვითონ გახოკიძე თვლის, რომ მოლაპარაკებები დროს გაჭიმავს და ხელს შეუშლის გაეროს უშიშროების მოთხოვნის თანახმად მძევალთა უპირობო გათავისუფლებას. მისი თქმით, „ჩვენ კიდევ ერთხელ გვინდა დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია და მოთხოვნა, რომ მოლაპარაკებები არ იქნას გაჭიმული, ვინაიდან მძევალთა დროული გათავისუფლება ამ წუთში უფრო მთავარია“. (ბეა).

### ზუგდიდისკენ მოძრაობა შეწყდა

როგორც გეას კორესპონდენტს ენგურის ხიდთან სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა აცნობეს, მას შემდეგ, რაც ზუგდიდში ტერორისტული აქტი მოხდა, ოჩამჩირიდან და სოხუმიდან არც ერთ მოქალაქეს არ გადმოუკვეთავს უსაფრთხოების ზონა, მაშინ, როდესაც წინა პერიოდში ზუგდიდისკენ სოხუმის, ოჩამჩირის, გუდაუთისა და გაგრის მოსახლეობის აქტიური მიმოსვლა იყო.

სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებით აფხაზეთის მხარემ სატრანსპორტო მიმოსვლა აკრძალა. (ბეა).

### მდგომარეობა არ შეცვლილა

ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში მდგომარეობა კონტროლს ექვემდებარება. სოფელ ჯიხაშკარში რაიმე არსებითი ცვლილებები გუშინ, 17 საათისათვის არ მომხდარა. ამავე წყაროს ცნობით, რეგიონში განსახლებული დევნილი მოსახლეობა აღშფოთებას გამოთქვამს ჯიხაშკარში მიმდინარე მოვლენების გამო. ამ საკითხთან დაკავშირებით, დევნილი მოსახლეობა სრულიად მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლებას და მიაჩნია, რომ განვითარებული მოვლენებით ცალკეულ ძალებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, სურთ აფხაზეთის საკითხის უკანა პლანზე გადაწევა, რაც დევნილი მოსახლეობის აზრით, ყოვლად დაუშვებელია. (იბერია).



ჯიხაშკარი – ჟურნალისტთა მიზიდულობის ცენტრი.

დავით ხიზანიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## ტერაქტი

# კვალს, ისევ და ისევ, რუსეთისკენ მივყავართ

## ბოროტების ხის მოჭრით კი არა, ფესვების ამოძირკვით გვეშველება

გამოძიების ხელთ არსებული მასალის ანალიზი საშუალებას იძლევა განვაცხადოთ: რუსეთის ხელისუფლების მიდგომა ამ საკითხებისადმი არ არის ისეთი, როგორიც სახელმწიფოთა შორის ცივილიზებულ ურთიერთობას უნდა ახასიათებდეს, რუსეთის სამართალდამცავი ორგანოები არ ასრულებენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მინსკის კონვენციის მოთხოვნებს, რომელთა თანახმადაც, მსგავს შემთხვევებში უნდა მოხდეს დამნაშავეთა იმ სახელმწიფოსთვის გადაცემა, სადაც ეს დანაშაული მოხდა. ბატონმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა მოიყვანა საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორის კოტე ფირცხალავას მაგალითი, რომელსაც საქართველოში უმძიმეს დანაშაულებებში ედება ბრალი, რუსეთში კი ქვეყნის მოქალაქეობა მისცეს.*

მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ვრცელი მიმოწერა, რუსეთის სამართალდამცავები საქმის კურსში იყვნენ გ. აბსანძის, ტ. გელანტიასა და ნ. ბურჭულაძესთან დაკავშირებით, რუსეთიდან გვაცნობეს, გ. აბსანძემ რუსეთის მოქალაქეობა მიიღო 1996 წლის მარტში. ყველაზე კურიოზული და აბსურდული აქ ის არის, რომ მოგვიანებით – 1997 წლის თებერვალში, რუსეთის გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ თურმე შეგვატყობინა... გ. აბსანძისა და სხვათა ძებნა კვლავ გრძელდება, ოღონდ ჯერჯერობით მათი ადგილსამყოფელი დადგენილი არ არისო. არადა, ეს „ძებნილი“ პირები რუსეთის პრესაში ხალისით, უხვად იძლევიან ინტერვიუებს, მათი ნააზრევი იმ ქართულ გაზეთებშიც ვრცელდება, რომლებსაც ეს აინტერესებს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ რუსეთის ხელისუფალთ არ აინტერესებთ, არ უნდათ მათი ჩვენთვის გადმოცემა, რათა ბოლოს და ბოლოს, იზეიმოს მართლმსაჯულებამ.

ბატონმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა განმარტა, რომ ჯიხაშკარში განვითარებული მოვლენები ლოგიკური გაგრძელებაა თბილისში 9 თებერვალს განხორციელებული ტერორისტული აქტისა, რომ ეს იმ ერთიანი გეგმის შემადგენელი ნაწილია, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ შემუშავდა.

გენერალურმა პროკურორმა ჟურნალისტებს შეახსენა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოზე სპეციალურად მოისმინეს გაეროს მეთვალყურეთა გატაცების საკითხი, დაგმეს ეს ტერორისტული აქტი და მოითხოვეს მძევლების დაუყოვნებლივ და უპირობოდ გათავისუფლება. ამასთან, შეფასება მიეცა საერთოდ ტერორისტულ აქტებს საქართველოში და გაცხადდა, რომ თავისი არსით ყოველივე ეს მიმართულია საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის შელახვისაკენ, კონფლიქტების მოწესრიგების პროცესის და ამაში საერთაშორისო ძალების მონაწილეობის ჩიხში შეყვანისა და დესტაბილიზაციისაკენ.

საქართველოს მთავრობის სპეციალურ განცხადებაში შეფასება აქვს მიცემული ზუგდიდში მომხდარ ფაქტს, მძევალთა გათავისუფლებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს განცხადების უპირობო შესრულების კონკრეტული ვადების განსაზღვრა დაევალა ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებიც ამის შესახებ აცნობებენ ტერორისტული აქტის მონაწილეებს.

ამაზე ვმუშაობთ, ვადას უახლოეს ხანში შევატყობინებთ მათ. ბოროტების ხის მოჭრით კი არა, მისი ფესვების ამოძირკვით გვეშველება. სხვაგვარად ძალზე გაუჭირდება ჩვენს ქვეყანას, რომელიც ახლა ყალიბდება როგორც დემოკრატიული, დამოუკიდებელი სახელმწიფო – თქვა ბატონმა ჯამლეთმა, როცა უპასუხა შეკითხვას, გამოძიება გავიდა თუ არა ტერორისტული აქტების დამკვეთებზე. გამოძიებას გარკვეული მონაცემები გააჩნია ამაზე, იყო მოკლე პასუხი.

იმ ძალებმა, ვინც ეს ტერორისტული აქტები ჩაიდინა, მოსამზადებელი სამუშაოები რამდენიმე თვის წინათ დაიწყეს. ამაში შედის ზუგდიდში განხორციელებული სერიალი აფეთქებებისა (რის შედეგადაც ერთი ქალიშვილი მძიმედ დაშავდა). რაკიღა ყველაფერი ეს ერთიანი გეგმის შემადგენელი ნაწილია, სავარაუდოა, რომ ყოველივე ამით არ დამთავრდება. ხელთ ჩაგვივარდა მათი მიმოწერა, ძალიან მძიმე წერილებია. მათში გამოკვეთილია პოზიცია პირებისა, რომლებიც ერთმანეთს აქეზებენ ტერორისტული აქტების ჩადენაში. ეს პოზიცია ანტისახელმწიფოებრივია. მათი არჩეული გზა უაღრესად რადიკალურია, დაკავშირებულია ტერორიზმთან. 9 თებერვალს მათ ჩაიდინეს უმძიმესი დანაშაული. მართალია პრეზიდენტი გადარჩა, მაგრამ ორი ადამიანი დაიღუპა, საქართველოს პრესტიჟს მიაყენეს დარტყმა.

კითხვაზე, რა იყო ტერორისტთა საბოლოო მიზანი, გენერალურმა პროკურორმა უპასუხა, რომ ეს, ალბათ, უეჭველად იყო დესტაბილიზაცია საქართველოში, ისევ არეულობა, ისევ იარაღით თარეში, ისევ გაუგებრობა და უკანონობა, ისევ რაღაც საშინელების მოლოდინი. რაკიღა ეს არ გამოვიდა, იმ საერთო გეგმის შესაბამისად, გაიტაცეს გაეროს დამკვირვებლები. ასე რომ, ყველა ეს მოვლენა ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ყოველივე ამას, კვალს ისევ და ისევ რუსეთისკენ მივყავართ. იმის დასტურად, რომ ეს ასეა, ხელთა გვაქვს დასტა დოკუმენტებისა. ეს დოკუმენტები ლაღადებს, რომ რუსეთის მხარე საეჭვო ლოიალობას იჩენს ტერორისტების, მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ, რომლებიც საქართველოში იძებნებიან და თავს რუსეთს აფარებენ და რომელთა ასე „გარეთ ყოფნაც“ ცუდ კლიმატს ქმნის საქართველოში.

კითხვაზე, არის თუ არა ჯიხაშკარის გატაცების ორგანიზატორი გოჩა ესებუა დაკავშირებული 9 თებერვლის მოვლენებთან, ჯამლეთ ბაბილაშვილმა განაცხადა, რომ იგი მხილებულია 9 თებერვლის ტერაქტში და გაცემულია მისი დაპატიმრების სანქცია.

იყო ასეთი შეკითხვა: – ნემო ბურჭულაძე მზად არის თავის თავზე აიღოს მოლაპარაკების წარმართვა საქართველოს ხელისუფლებასთან. რა „ანგარიშზეა“ თქვენთან ეს პაცი?

პასუხი: – ნემო ბურჭულაძე 1993 წლიდან იძებნება საქართველოს პროკურატურის მიერ, გაცემულია მისი დაპატიმრების სანქცია მძიმე დანაშაულის, მათ შორის, ბანდიტიზმის ბრალდებით. აღმოჩნდა, რომ ის მოსკოვში ცხოვრობს. არ ვიცი, შედგება თუ არა ასეთი შეხვედრა და მოლაპარაკება, მაგრამ რაკიღა საქმე ადამიანთა სიკვდილ-სიცოცხლეს ეხება, შეიძლება ბურჭულაძეს პასუხისმგებლობა არ მოვეუხსნათ ადრე ჩადენილის გამო, მაგრამ ამ მოლაპარაკების საშუალება მივცეთ.

ჯიხაშკარში მოძალადურად დაბანაკებულ ტერორისტთა მიმართ რა ზომები შეიძლება სახელმწიფომ მიიღოს?

ეს მოხდება კანონისა და ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო ნორმების შესაბამისად. ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა და აკეთებს ტერორისტებთან მშვიდობიანი მოლაპარაკებისათვის, მიმართავს, ასე ვთქვათ, არასტანდარტულ, არაორდინალურ ნაბიჯებს. ყველა ეს შესაძლებლობა პრაქტიკულად იწურება. ახლა ტერორისტებმა უნდა გააკეთონ სათანადო დასკვნები.

ჟურნალისტებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზეც, რომ ეს ტერორისტული აქტები საეჭვოდ უკავშირდება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებას. გენერალურმა პროკურორმა განმარტა, რომ ეს ბუნებრივი მოვლენაა, მართლაც არის კავშირი ამ მოვლენათა შორის. მაფიოზური ძალები სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული, რომ ქვეყანაში კვლავ ქაოსი და განუკითხაობა დამკვიდრდეს და მათ თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობის შეუფერხებლად გაშლის ასპარეზი მიეცეთ.

**ალეკო ასლანიშვილი.**

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

# უსისხლოდ...

ბოლო ხანებში საქართველოში განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა მრავალ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ძალას მისცა საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება. ზოგ შემთხვევაში პოზიციების ასეთმა დაფიქსირებამ თვითმიზნური ხასიათი მიიღო და მდგომარეობის განმუხტვის ნაცვლად იგი, ნებსით თუ უნებლიეთ, სიტუაციის კიდევ უფრო დაძაბვას უწყობს ხელს.

ტერორისტული აქტებისა და ადამიანთა მძევლად აყვანის მიმართ რომ ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი და აღმაშფოთებელი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს და აქვს კიდეც ყველა ნორმალურ ადამიანს, ეს არავითარ დავას არ იწვევს. თვით იმ იდეოლოგიის მიმდევარი პოლიტიკოსებიც კი, რომლებიც თავის თავს „ზვიადიზმის“ მიმდევრებად მიიჩნევენ, ემიჯნებიან და გმობენ ტერორისტთა ქმედებას. ამდენად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ შექმნილ რთულ სიტუაციაში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია სიტუაციის სტაბილიზაციისაკენ მიმართული ქმედებები და არა უბრალოდ განცხადებების გაკეთება. ასეთი მოქმედების მაგალითს ბოლო დღეებში იძლევიან ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები, რომელთა ძალისხმევამ უკვე გამოიღო პირველი შედეგი – განთავისუფლებულია ერთ-ერთი უცხოელი მძევალი.

იმედს გამოვთქვამთ, რომ შექმნილი ვითარება ხელისუფლების სწორი მოქმედებით უახლოეს მომავალში ასევე უსისხლოდ განიმუხტება და მძევლები განთავისუფლებული იქნებიან, ჩვენი კომიტეტი თავისი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში ყველანაირად ეცდება ხელი შეუწყოს ზუგდიდის ინციდენტის მოგვარებას უსისხლოდ.

**კოტე კოკოევი,**

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე.

### ბიუჯეტის დეფიციტი

როგორც ცნობილია, საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის წყარო საქართველოს ეროვნული ბანკია. იანვარში ცენტრალური ბიუჯეტის დეფიციტი 12,2 მლნ ლარი იყო. ეროვნული ბანკიდან გამოიყო 6,6 მლნ ლარი, ანუ დაფინანსდა 54,1 პროცენტით და გადახრამ 5,6 მლნ ლარი შეადგინა.

### რამაზ ჩხიკვაძე – 70

ამ დღეებში გამოჩენილ ქართველ მსახიობს რამაზ ჩხიკვაძეს 70 წელი უსრულდება. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს კულტურის მინისტრმა ვალერი ასათიანმა მისალოცი ბარათი გაუგზავნა სახელოვან მსახიობს:

„მიიღეთ ჩვენი გულითადი მილოცვა. თქვენ, საქართველოს, ქართული ხელოვნების სიამაყეს, გისრულდებათ დაბადების სამოცდაათი წელი.

მთელი ცხოვრება ახალგაზრდული შემართებით გაქვთ განვლილი. თამამად შეგვიძლია ბრძანოთ, რომ თქვენი ბედის მჭედელი თვით ბრძანდებით. ყოველდღიური შემოქმედებითი წვით, თავდაუზოგავი შრომით, ტრიუმფალური აღმასვლითა და ულამაზესი ყვავილებით მოფენილი – ასე ჩანს თქვენს მიერ განვლილი გზა დღევანდელი გადასახედიდან.

თითქმის ყველა კონტინენტზე, ქართული თეატრის დიდებასთან ერთად, გაიჟღერა თქვენმა სახელმა. განგებამ ინება, მხოლოდ გამარჯვების გზით გევლოთ!“

### საქართველო პრიორიტეტულია

ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს სათბობენერგეტიკის მინისტრმა დავით ზუბიტაშვილმა, რომელიც ამერიკაში კემბრიჯ-ენერჯის მიერ მოწყობილ საერთაშორისო კონფერენციას ესწრებოდა, ქართველ ჟურნალისტებთან გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ მსოფლიო ენერგეტიკული ცენტრი დიდად არის დაინტერესებული კასპიის ზღვის აუზის ენერგომატარებლების ტრანზიტითა და საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისებით.

კონფერენციაზე, რომელსაც მსოფლიო ენერგეტიკული ცენტრის 66 წევრი ქვეყანა ესწრებოდა, აღინიშნა, რომ საქართველოს შეუძლია მისი სრულუფლებიანი (67-ე) წევრი გახდეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, კონფერენციამ კასპიის დიდი ნავთობის – ირანზე, ჩინეთზე, რუსეთზე, თურქმენეთ-პაკისტანზე და საქართველოზე გაყვანის შესაძლო ვარიანტები განიხილა. ამერიკამ ამ ვარიანტებიდან გამწვავებული პოლიტიკური სიტუაციის გამო ირანის მარშრუტი უარყო.

როგორც დავით ზუბიტაშვილმა თქვა, კონფერენციაზე ერთხმად აღიარეს ბაქო-ჯეიჰანის (საქართველოზე გავლით) მიმართულების პრიორიტეტი.

### დედათა მონასტერს კაზაკები დაეხმარებიან

ამ დღეებში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II შეხვდა საქართველოს კაზაკთა კავშირისა და თბილისის კაზაკთა წრის წარმომადგენლებს. მათი საუბარი შეეხო მცხეთის წმინდა ეკატერინე-ოლღას დედათა მონასტერს, სადაც მონაზვნები უმძიმეს პირობებში ცხოვრობენ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს კაზაკთა კავშირისა და თბილისის კაზაკთა წრის წარმომადგენლებმა მონასტრისთვის დახმარების გაწევა იკისრეს.

როგორც თბილისის კაზაკთა წრის ატამანმა, საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა, გენერალ-მაიორმა პეტრე ნეტკაჩევმა თქვა, დღეს საქართველოს განსაკუთრებით სჭირდება ერთიანობა და ამ ერთიანობაში შეუძლია კაზაკთა იმედიც ჰქონდეს.

### აურზაური არაფრის გამო

გუშინ რუსთაველის პროსპექტი გააყრუა სახანძრო მანქანების სიგნალებმა. ათამდე მანქანა მივიდა საქართველოს საინფორმაციო სააგენტო „საქინფორმის“ შენობასთან, რომლის ლიფტის სახურავს ელექტროსადენი დასწვოდა. როგორც მეხანძრეებმა განაცხადეს, დაიწვა 5 კვადრატული მეტრი ფართობი.

ინფორმაციები მოგვაწოდეს საქინფორმმა, „ბეას“ და ჩვენმა კორესპონდენტებმა.

## ჯანდაცვა: კანონის მიღების წინ

# ადამიანის სხეული არ შეიძლება გაიყიდოს

*წელს, 20 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი „ადამიანის ორგანოების, ორგანოთა ნაწილების, ქსოვილების აღებისა და გამოყენების შესახებ“. იგი სამართლებრივად აწესრიგებს ადამიანის ორგანოების მოძიების, განაწილების, გამოყენების საკითხებს და პასუხს სცემს უმწვავესი სოციალური, ეთიკური და იურიდიული შინაარსის კითხვებს, როგორიცაა:*

*** ვინ და რა შემთხვევაში შეიძლება იყოს დონორი?**
*** როგორ ავიცილოთ ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა?**
*** როგორ დავიცვათ მოსახლეობა ორგანოების მოპოვების მიზნით ფიზიკური, მორალური, ფინანსური ზემოქმედებისგან, ანუ როგორ დავიცვათ ეს სფერო კრიმინალური კომერციალიზაციისგან?**
*** როგორ დავიცვათ გარდაცვლილი ადამიანის უფლება, როგორ გავითვალისწინოთ მისი სიცოცხლეში გაცხადებული ნება, შეხედულებები, რწმენა, ეთიკური პრინციპები?**
*** შეიძლება თუ არა უპატრონო გვამის ორგანოების, ორგანოთა ნაწილების, ქსოვილების აღება და გამოყენება ტრანსპლანტაციისა თუ სასწავლო-სამეცნიერო მიზნით?**

ორგანოთა გადანერგვა ანუ ტრანსპლანტაცია მეოცე საუკუნის მედიცინის უთუოდ ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა. ყველას გვახსოვს ის საყოველთაო აღტაცება, სამხრეთაფრიკელი კარდიოქირურგის კრისტიან ბერნარდის მიერ ჩატარებულმა გულის გადანერგვის ოპერაციამ მთელს მსოფლიოში რომ გამოიწვია. მაგრამ ტრანსპლანტოლოგიის – ამ მართლაც ჰუმანური დარგის განვითარებას, სამწუხაროდ, უმძიმესი თანმხლები მოვლენაც სდევს: დღეს, ნარკოლოგიის შემდეგ, არც ერთი სფერო არ არის ისე საშინლად კრიმინალიზებული, როგორც ტრანსპლანტოლოგია. საინფორმაციო საშუალებები უკანასკნელ წლებში უხვ მასალებს აწვდიან მკითხველს ამ საზარელი ბიზნესის შესახებ: როგორ აცლიან ორგანოებს ცოცხალ თუ გარდაცვლილ დონორებს თვით ამ ადამიანის ან მისი ახლობლების თანხმობის გარეშე, როგორ ხდება ამ მიზნით ბავშვების გატაცება, როგორ უსწრაფებენ სიცოცხლეს პოტენციურ დონორებს ორგანოების ამოღების მიზნით, უზნეო და არაკეთილსინდისიერი ექიმები და სხვა.

სხვათა შორის, ერთ ხანს გავრცელდა ხმა, თითქოს ასეთი რამ (კერძოდ – ბავშვის გატაცება ტრანსპლანტაციის მიზნით) საქართველოშიც მოხდა... ღვთის მადლით, ეს ჭორი არ გამართლდა. მაგრამ განა ეს გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას? რა თქმა უნდა, არა.

ზემოთ დასახელებული კანონპროექტი ის ფარი გახლავთ, რომელმაც უნდა დაიცვას ჩვენი მოსახლეობა ამ საშინელებისგან.

დღეს საქართველოში ტრანსპლანტოლოგია ძალას იკრებს და ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. როცა დედა თავის ცალ თირკმელს საკუთარ შვილს აძლევს, და – ძმას, დეიდა – დისშვილს და ამით უეჭველი სიკვდილისგან იხსნის, ამაზე ჰუმანური რა უნდა იყოს! საქართველოს პრეზიდენტის მართ მანდელი ბრძანებულება „თანამედროვე მაღალტექნოლოგიური ქირურგიული მეთოდებით გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობის და ორგანოთა ტრანსპლანტაციის ხელშეწყობის შესახებ“ ამ დარგის განვითარებას ითვალისწინებდა. მაგრამ ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო, ყოველგვარი მანკიერი მოვლენების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელი და საშური საქმე იყო სამართლებრივი ჩარჩოს მომზადება. და აი, ეს ჩარჩოც მომზადდა.

კანონპროექტს საფუძვლად დაედო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული დოკუმენტები და რეკომენდაციები. მისი უმთავრესი მიზანი გახლავთ ადამიანის უფლებების დაცვა, დარგის კომერციალიზაციის არდაშვება.

გუშინ ჯანდაცვის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე ბატონმა ავთანდილ ჯორბენაძემ ჟურნალისტებს გაესაუბრა კანონპროექტის 4 უმთავრესი პრინციპის შესახებ. ამის თაობაზე გვესაუბრა აგრეთვე ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე საკანონმდებლო დარგში, პროფესორი გურამ კიკნაძე.

**პირველი და უმთავრესი პრინციპი ორგანოს გაცემის ნებაყოფლობითობაა.** აქ უზენაესი ფაქტორია მოქალაქის ნება, მისი თანხმობა (ან უარი) ორგანოს გაცემაზე სიცოცხლეში ან სიკვდილის შემდეგ. თუ პიროვნებას სიცოცხლეში წერილობითი თანხმობა ან უარი არ განუცხადებია, მაშინ მისი ორგანოს ამოღება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ამ ადამიანის ეთიკურ პრინციპებს, მის რელიგიურ რწმენას. ამასთან, გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მხოლოდ გარდაცვლილის ოჯახის წევრს. ხოლო თუ არც სიცოცხლეში გაცხადებული ნება არსებობს და ვერც ახლობლების მოძიება მოხერხდა, ორგანოს აღება აკრძალულია. უპატრონო გვამის ორგანოების, ორგანოთა ნაწილების, ქსოვილების აღება და გამოყენება სხვა ადამიანისათვის გადასანერგად ან სამეცნიერო-სასწავლო მიზნებისათვის არ შეიძლება. ასეა მიღებული მთელს ცივილიზებულ სამყაროში და ჩვენთანაც ასე უნდა იყოს, – ამბობს ჯანდაცვის მინისტრი და შესაბამისი (მე-12) მუხლის ამოღების კატეგორიული წინააღმდეგია (სწორედ ეს მუხლი გახდა სადავო პარლამენტში საკომიტეტო მოსმენისას).

**მეორე პრინციპი — ასევე ძალზე მნიშვნელოვანი — გახლავთ ცოცხალი დონორების წრის შემოფარგვლა მხოლოდ გენეტიკური ნათესავებით და მეუღლით.** ამ მოსაზრების ოპონენტებს შეუძლიათ თქვან: „რატომ არ უნდა შემეძლოს მივცე ჩემი ორგანო ავადმყოფობით გატანჯულ ადამიანს, თუნდაც ის ჩემი ნათესავი არ იყოს?!“ სამწუხაროდ, ამგვარი ალტრუიზმი (დღესდღეობით მაინც!) სრულიად გაუმართლებელია, რადგან ცოცხალი დონორების წრის გაფართოებას აუცილებლად მოჰყვება დარგის კრიმინალიზაცია. ვაი, რომ ბევრი გამოჩნდება ისეთი „ალტრუისტი“, რომელიც საკუთარ თირკმელს 2 ათას დოლარად შეელევა... სამაგიეროდ, დიდად გამდიდრდება შუამავალი მაფია – ზოგიერთ ქვეყანაში ერთი თირკმელი 60 ათას დოლარამდე ღირს. აი, მაშინ დატრიალდება იმ მასმტაბის უბედურება, რომელსაც საუკუნეების წინათ ქართველ ტყვეთა ოსმალეთის ბაზრებზე გაყიდვა თუ შეედრება.

**მესამე პრინციპია: რეციპიენტის შერჩევა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ სამედიცინო ჩვენებით.** აქ გადაწყვეტილებას ტრანსპლანტაციის საბჭო ღებულობს, რომლის მითითებაც სავალდებულოა როგორც ტრანსპლანტაციის ბანკებისათვის, ისე ტრანსპლანტაციით დაკავებული სამედიცინო დაწესებულებებისათვის.

**მეოთხე პრინციპი — დარგის მართვისა და კოორდინაციის პრინციპია** – აუცილებელი პირობა როგორც ტრანსპლანტოლოგიის ოპტიმალური განვითარებისათვის, ისე ამ დარგის კრიმინალიზაციის ასაცილებლად.

კანონპროექტი ითვალისწინებს ტრანსპლანტაციის საბჭოს შექმნას, რომელშიც შევლენ რჩეული სპეციალისტები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ვინაიდან ადამიანის ორგანოებზე მოთხოვნილება ბევრად ჭარბობს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას, ორგანოთა განაწილების პროცესი აბსოლუტურად გამჭვირვალე უნდა იყოს, – ითქვა ბრიფინგზე.

კანონპროექტი ადამიანის ორგანოების აღებისა და გამოყენების შესახებ, ეჭვგარეშეა, დიდ გამოძახილს ჰპოვებს საზოგადოებრიობაში. ერთი რამ ცხადია: დღეს, ეგებ, სავსებით გასაგები და ჰუმანური მოსაზრებით, შენ, საერთოდ, წინააღმდეგი იყო ტრანსპლანტაციის, მაგრამ ხვალ ეს ოპერაცია შენ ან შენს ახლობელს დასჭირდეს...

ცივილიზებულ ქვეყნებში ამ დარგის განვითარების საჭიროება, კარგა ხანია, გაცნობიერებული აქვთ და ეს საქმე კანონმდებლობით მკაცრად არის რეგლამენტირებული. მარშან შვედებმა მიიღეს კანონი, რომლის მიხედვით ყველა მოქალაქე ვალდებულია, სიცოცხლეშივე განაცხადოს თანხმობა თუ უარი სიკვდილის შემდეგ თავისი ორგანოს გამოყენებაზე სხვა ადამიანისათვის გასადანერგად თუ სასწავლო-სამეცნიერო მიზნებისათვის. გერმანელებს მართვის მოწმობაში აქვთ ჩაწერილი ამის თაობაზე თავისი თანხმობა თუ უარი, ხოლო ინგლისელებს საგანგებო ბარათები უდევთ უბეში.

ერთი რამ კი უთუოდ უნდა გვახსოვდეს: ეკონომიკურად ჩამორჩენილი, განვითარებადი ქვეყნები ადამიანის ორგანოების არალეგალური ბაზარია განვითარებული ქვეყნებისათვის. პოტენციური დონორებიც, ძირითადად, მხოლოდ გაჭირვებულ ქვეყანაში მოიძებნებიან. ამიტომ არის საშური და აუცილებელი ზემოთ ხსენებული კანონის გამოწვლილვით განხილვა, ხოლო შემდგომ – ამოქმედება. რაც უფრო ფართოდ გაიშლება მსჯელობა ამ საკითხზე, მით უფრო ნაკლები იქნება საბედისწერო შეცდომის დაშვების შანსი.

**ნანული ბარათაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრილობა

# „დემოკრატია უსუსური არ უნდა იყოს, მას უნდა შეეძლოს დაიცვას თავისი მონაპოვრები, ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ ჩვენი ერთიანობის პირობებში“

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას სიტყვა სმკ მესამე ყრილობაზე 1998 წლის 22 თებერვალს



დღეს ყველას, თითოეულ ჩვენგანს მართლაც ძალიან უჭირს საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება, რადგანაც ყველაფერს ვუყურებთ იმ ტრაგიკული მოვლენების პრიზმით, რომელთა მოწმეები ჩვენ გავხდით მოყოლებული 9 თებერვლიდან. ის, რაც დაიწყო 9 თებერვალს, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება და ადამიანები, ვინც ხედავს, როგორ ვითარდება მოვლენები ჯიხასკარში, იმავე ემოციით არიან დამუხტული, რა ემოციითაც იყო დამუხტული მთელი საქართველო 9 თებერვლის ღამეს. ადამიანი მართლაც მოწყვეტილი უნდა იყოს რეალობას, რომ კმაყოფილება იგრძნოს თანამოქალაქეებთან შეხვედრისას, რომელთა წინაშე დგას ყოფნა-არყოფნის პრობლემა, როდესაც მრავალ ოჯახს ელემენტარული სარჩო-საბადებელიც კი საზრუნავი გახდომია, როდესაც ათიათასობით და ასიათასობით ჩვენი თანამოქალაქე მოკლებულია სახლ-კარს, სამუშაოს და ხშირად იმედიც კი დაკარგული აქვს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ, მოქალაქეთა კავშირმა არ დავაფიქსიროთ, რომ საქართველოს გადარჩენისა და აღორძინების გარკვეული პროცესები შეუქცევადი გახდა. მინდა მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო ეს. უფრო მეტიც, როდესაც 9 თებერვალს ედუარდ შევარდნაძეს ნაღმტყორცნებს ესროდნენ, ესროდნენ სწორედ იმის გამო, რომ ედუარდ შევარდნაძემ და ყველამ, ვინც მის გვერდით დგას, მიაღწია იმას, რომ საქართველოს დემოკრატიული განვითარება და მისი ეკონომიკური აღორძინება შეუქცევადი გახდა. ტერორი სწორედ ამის პასუხია. ლაპარაკია იმაზე, რომ, როგორც ჩანს, ვიღაცას ჯერ კიდევ არა სჯერა: დაადგა კი საქართველო საბოლოოდ იმ გზას, როდესაც პროცესებს განსაზღვრავს ჩვეულებრივი, დემოკრატიული კანონზომიერებანი თავისი დაპირისპირებებით, პრობლემებით, დაძაბულობით, მაგრამ მშვიდობიანი და სტაბილური განვითარებით. 9 თებერვალი, უპირველეს ყოვლისა, იმის მცდელობა იყო, რომ საქართველოს საკმაოდ დიდი ხნით ეთქვა უარი მსოფლიო დემოკრატიულ საზოგადოებაში შესვლის პერსპექტივაზე. რატომ აირჩიეს სწორედ ტერორი, როგორც ამის მიღწევის გზა, როგორც მეთოდი. საქმე ის გახლავთ, რომ თვითონ საქართველოს ხალხმა ძალიან მტკიცედ და ერთმნიშვნელოვნად, ყველასათვის გასაგებად გამოკვეთა თავისი პოზიცია და წერტილი დაუსვა ქაოსსა და ანარქიას, ყოველგვარ ილუზიას, რომ მოსახლეობის ნებაზე დაყრდნობით ვინმემ გაამრუდოს ჩვენი ქვეყნის გზა. დავუფიქრდეთ იმას, რომ საქართველო იყო ერთადერთი პოსტსაბჭოური სახელმწიფო, სადაც ვერც კომუნისტებმა და ვერც მემარჯვენე რადიკალებმა პარლამენტში ვერც ერთი ადგილი ვერ მოიპოვეს. ვფიქრობ, რომ როდესაც გაანალიზდა 1995 წლის არჩევნების შედეგები, რაც იყო ჩვენი ხალხის ყველაზე მკაფიო განცხადება მთელი მსოფლიოსადმი, როგორ ხედავს იგი თავის მომავალს და ადგილს მსოფლიოში, სწორედ მაშინ, ალბათ, დარწმუნდა ძალიან ბევრი ჩვენი „კეთილმოსურნე“, რომ მხოლოდ ფიზიკური განადგურება თუ უშველის მათ ბნელ და ბოროტ საქმეს. მიმაჩნია, რომ ჩვენ ყველანაირად უნდა ვეცადოთ მშვიდობიანად გადავწყვიტოთ ჯიხასკარის პრობლემა, დავიყოლიოთ ტერორისტები, რომ გაათავისუფლონ მძევლები. მინდა კატეგორიულად განვაცხადო, რომ დაუშვებელია რაიმე პოლიტიკური დიალოგი ტერორისტებთან. იმედი მაქვს ჩვენი სამართალდამცავი ორგანოებისა, რომლებიც მართლაც დგანან დღეს მოწოდების სიმაღლეზე, გაითვალისწინებენ, რომ მთელი საქართველო მათგან, უწინარესად, სწორედ სიმტკიცესა და გამბედაობას ელის.

რატომ ვახსენებთ ჩვენ რუსეთს, როცა ლაპარაკია ამ ტერორისტულ აქტზე? საიდან გაჩნდა მაინც ის აზრი, რომ 9 თებერვლის მილმა იდგნენ ადამიანები, რომლებიც სახლობენ მოსკოვში? მე ვერ ვირწმუნებ ვერავის გულწრფელობას, მათ შორის, რუსეთის ოფიციალური ხელისუფლებისასაც, ვიდრე ტერორისტები, რომლებიც პასუხს აგებენ 1995 წლის 29 აგვისტოს აფეთქების გამო, ცხოვრობენ მოსკოვში. არამარტო ცხოვრობენ, არამედ სარგებლობენ სპეციალური დაცვით, სპეციალური პრივილეგიებით, უპრობლემოდ ეწვევიან ხოლმე თავის საყვარელ კაზინოებსა და რესტორნებს. რისთვის ინახავენ ამ ადამიანებს წლების განმავლობაში, რატომ აქვთ მათთვის გამოყოფილი სპეციალური ბინები, აგარაკები, დაცვა და ესკორტები? მე უკვე ვთქვი პარლამენტში: ჩემი აზრით, ეს ხალხი იყო შენახული სწორედ 10 თებერვლისათვის, იმ შემთხვევისათვის, თუ ვერ გაუძლებდა „მერსედესის“ ჯავშანი. ჩვენ დამნაშავენი ვართ, რომ გამოვთქვამთ იმ ეჭვს, რომელიც თითოეულ ჩვენგანს გვებადება. იქნებ დამნაშავე სწორედ ის ადამიანებია, ვინც თითს თითზე არ აკარებს, რომ ჩვენ ეჭვი გაგვიქარწყლოს. რა გახდა ბოლოს და ბოლოს იმ ადამიანების გადმოცემა საქართველოს ხელისუფლებისათვის, რაც ისედაც სავალდებულოა ჩვენი ორმხრივი თუ საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, რისთვისაც შეიქმნა არაერთი სათანადო დოკუმენტი და გაფორმდა მიმართვა. მე მეტსაც ვიტყვი და ამას პირველად ვაცხადებ საჯაროდ: თავად 9 თებერვლის კვალი. საჭიროა კიდევ დამატებითი ფაქტები და არგუმენტები საიმისოდ, რომ ჩვენ მოვიპოვოთ ამგვარი ეჭვების გამოთქმის უფლება და ამან არ გააღიზიანოს ჩვენი დიდი მეგობრები? სულ ახალი, გუშინდელი ფაქტი და მე მინდა „მოგილოცოთ“, რომ თურმე მოსკოვში ფუნქციონირებს საქართველოს „კანონიერი მთავრობა“, რომლის საინფორმაციო სამსახურიც განცხადებებსაც კი ავრცელებს. გაგიგიათ ვინმეს, რომ მეგობარ სახელმწიფოში, რომელიც აღიარებს შენს არჩევნებს, სუვერენიტეტს, არსებობდეს ისეთი სახის ორგანიზაციები, რომლებიც პირდაპირ მუშაობენ ხელისუფლების დამხობაზე „კანონიერების“ ჩარჩოებში და მოთხოვნით?

მინდა განვაცხადო და მართლაც აბსოლუტურად გულწრფელი ვარ. ერთ-ერთი მთავარი მიზანი ჩემთვის და თითოეული ჩვენგანისათვის არის პრობლემების მოგვარება, რეალური მეგობრობა რუსეთთან, იმის რეალურად მიღწევა, რომ ჩვენ ერთმანეთს ვუწოდოთ კეთილი მეზობლები თუ არა, სტრატეგიული პარტნიორები და მოკავშირეები მაინც. და ამისათვის ჩვენ ვიბრძოლებთ, გადავდგამთ ყველანაირ ნაბიჯს, მზად ვიქნებით, რომ რეალურად გავითვალისწინოთ ამ ქვეყნის ინტერესები, კანონიერი და ბუნებრივი ინტერესები ჩვენს სამშობლოში, ჩვენს რეგიონში. მაგრამ მოდით, ეს ინტერესი ნუ იქნება ჩვენს სამშობლოში სისხლისღვრის, ძალადობისა და ბოროტების დამყარების ინტერესი. იმედი მაქვს, რომ ბოლო დღეებში მოსკოვში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გააკეთეს ისეთი განცხადებები, რომ შეიძლება მართლაც განიმუხტოს სიტუაცია. ამ საკითხთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ ვერავინ ვერ დაგვასწრებს სამეგობროდ გამოწვდილი ხელის ჩამორთმევას, ვერავინ ვერ დაგვასწრებს იმას, რომ ჩვენ ყველა პირობა შევქმნათ საიმისოდ, რათა საქართველო იყოს მართლაც საიმედო პარტნიორი რუსეთისათვის.

შეუძლებელია არ აღვნიშნო ამ ტერორისტული აქტის კიდევ ორი ასპექტი — ჩეჩნების მონაწილეობა მის განხორციელებაში. ბევრი ითქვა და სამართლიანადაც, რომ მიზანი უეჭველად ის იყო ხელისუფლების ბოლო წლის განმავლობაში ერთ-ერთი ძირითადი მიღწევა — ურთიერთობის გამოსწორება ჩვენს სამეზობლოში. აი, ამას უნდა გადასმოდა ხაზი. რამდენად მნიშვნელოვანი არის კავკასიის თითოეულ ხალხთან, სახელმწიფოსა თუ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნთან ჰარმონიული და კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩვენთვის, თვითონ ყველა დავრწმუნდით იმ მტკივნეული მაგალითით, აფხაზეთში რომ ვიწვნიეთ. ჩვენი ქვეყნის უბედურების ბევრი მიზეზი ის იყო, რომ არ გვქონდა გარკვეული ჩვენი პრობლემები ჩვენს სამეზობლოში, „კავკასიური სახლი“ რომ ჰქვია. ეს მოხერხდა და, როგორც ჩანს, ამით ვიღაც ძალიან გაღიზიანდა. გაღიზიანდა იმიტომ, რომ თბილისში ჩამოვიდა მასხადოვი და განაცხადა, რომ ჩეჩნეთი საქართველოს არანაირ პრობლემას არ შეუქმნის მომავალში. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გამოვთქვა კმაყოფილება იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც განახორციელა ჩეჩნეთის ხელმძღვანელობამ ამ ტერორისტული აქტისა და რადუევის ცნობილი პროვოკაციული განცხადების შემდეგ.

ამ დიდი პროვოკაციის მეორე ასპექტი არის სამეგრელოს თემის ხელახალი „შემოგდების“ მცდელობა ჩვენს პოლიტიკაში. ამ ზაფხულს მომეცა შესაძლებლობა შემომევლო სამეგრელოს მთიანეთი, რომელიც თითქოს ედუარდ შევარდნაძის მოწინააღმდეგეთა ციტადელად ითვლებოდა. სინამდვილეში სრულიად საპირისპირო რამ აღმოჩნდა. ჩვენი მტრების ამ პროვოკაციას მთავარ პასუხს თვით ამ რეგიონის მოსახლეობა გასცემს. ჩვენი გამარჯვების საწინდარი იქნება სწორედ ის მგზნებარება, რომლითაც არის დამუხტული ახლა სამეგრელო, დემოკრატია უსუსური არ უნდა იყოს, მას უნდა შეეძლოს დაიცვას თავისი მონაპოვრები, ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ ჩვენი ერთიანობის პირობებში.

# „ადამიანის უზენაესობის რეალობად ქცევის პარალელურად ქვეყანაში მტკიცე წესრიგზე უნდა ვიზრუნოთ“

## საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილის სიტყვა სმკ მესამე ყრილობაზე 1998 წლის 22 თებერვალს

ვითარება, რომელშიც მოქალაქეთა კავშირის დღევანდელი ყრილობა მიმდინარეობს, ძალზე ჰგავს იმ დროს, როცა იგი პოლიტიკურ ორგანიზაციად ყალიბდებოდა. მაშინაც და ახლაც სერიოზულად იდგა საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადარჩენის საკითხი. ცოტა შორსაც გადავიხედოთ, დამოუკიდებელი ქვეყნის აშენება რომ იოლი არ იქნებოდა, და შიდა და გარე ფაქტორები ურთულეს გამოცდებს მოგვიწყობდა, ჩვენი საზოგადოების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს ჰქონდა გააზრებული. უმეტესობა ეიფორიაში მყოფი, თვითდაჯერებული, ილუზიებით შეპყრობილი იყო. ამიტომაც ადვილად შეძლეს დესტრუქციულმა შიდა და გარე ძალებმა, ხელი შეეწყოთ ურთიერთდაპირისპირებისათვის, ეკონომიკის ნგრევისათვის, კონფლიქტების გაღვივებისა და ქვეყნის კრიმინალურ სახელმწიფოდ ქცევის მცდელობისათვის. მე პირადად მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ერს, მოსახლეობას უმტყუნა რეალობის აღქმისა და ჯანსაღი ერთიანობის გრძნობამ.

მიმდინარე მომენტის მთელი თავისებურება ის გახლავთ, რომ არსებული ურთულესი პოლიტიკური სიტუაციის პირობებში, აუცილებელია საზოგადოების მთელი ჯანსაღი ძალების კონსოლიდაცია, კონსოლიდაცია ფართო გაგებით, ყველა მიმართულებით. გავიხსენებდი ძველს, მაგრამ ამ მომენტისათვის საჭირო სიტყვასაც — განსაკუთრებული მობილიზება. მიმაჩნია, რომ, როცა ეკონომიკის აღორძინებაზე ვლაპარაკობთ, ეს ნიშნავს იმათ პასუხისმგებლობასაც, ვისაც ეს ეხება. როცა დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირებაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში მაქვს, რომ ეს უნდა ხდებოდეს ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერის, კანონისა და კანონიერების განმტკიცების პირობებში, ჩვენი ქვეყნის მდგომარეობისა და თავისებურებების გათვალისწინებით. არაჩვეულებრივია ამერიკული და ევროპული მოდელები, მაგრამ ნუ გვავიწყდება, რომ გვაქვს ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრის დაცვის, ბაზების, ლტოლვილების, თუნდაც ერთი საზოგადოებრივი ფორმირებიდან მეორეში გადასვლის პერიოდისათვის დამახასიათებელი პრობლემები, კვლავ არსებობენ კრიმინალური ბანდებისა და ფორმირებების ნარჩენები. თუ ეს ყველაფერი არ გავითვალისწინეთ, საქართველოს პრეზიდენტის ძალისხმევა და თავდადება, პარლამენტის შემართება და მოღვაწეობა, შესაძლებელია, საკმარისი არ აღმოჩნდეს გეოპოლიტიკური კატაკლიზმების არეალში მოხვედრილი ქვეყნის სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად. ვიმეორებ — „მართვადი ქაოსური“ სიტუაციის შექმნის შესაძლებლობა საქართველოში გამორიცხული არ არის.

ნებისმიერი ქვეყნის სტაბილური განვითარებისათვის აუცილებელია საზოგადოებრივი თანხმობა, ანუ სიტუაცია, როცა ძირითადი პოლიტიკური ძალები უმთავრეს საკითხებზე აღწევენ შეთანხმებას, მაგრამ არიან პოლიტიკური მიმართულებანი, რომლებიც ფაქტობრივად გამორიცხავენ კომპრომისს და დიალოგს ან მოქმედების საშუალებად ტერორს ირჩევენ. ასეთი პოლიტიკური ძალების არსებობის ვითარებაში ქვეყნის თანდათანობით განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ლაპარაკი ზედმეტია იმაზეც, რომ ჩვენ მალე გავხდებით მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი. უპირატესად, ასეთი ძალების მსოფლმხედველობრივი საფუძველი მოწყვეტილია ყოველგვარ რეალობას და აკვიატებული იდეების დონეზეა.



დემოკრატია და წესრიგი განუყრელი ცნებებია. იგი ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი ლოზუნგია. თუ წესრიგი და კანონიერება არ გაბატონდა ყველგან — ბიზნესში, შეიარაღებულ ძალებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ქუჩაში, ისე ჩვენი დემოკრატიაც და ჩვენი სახელმწიფოებრიობაც ერთობ მყიფე იქნება.

სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სტრუქტურების გამართული მუშაობის პირობებში შესაბამისი ანალიზური სამსახურების ნაყოფიერი მოღვაწეობის დროს, ალბათ, იმ სიტუაციასაც თავიდან ავიცილებდით, რომელიც ტერორისტულ აქტს წინ უსწრებდა. ხდებოდა სივრცის დაბეჯითებით ტირაჟირება. ანტისახელმწიფოებრივი ძალების მიერ პრესკონფერენციებზე დაყრილი საკენკი ჩვენი მასმედიის ნაწილისათვის მშვენიერი სატყუარა გამოდგა. ხდებოდა მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწეებისა და პოლიტიკოსების გამიზნული დისკრედიტაცია, მთელი სახელმწიფო ხელისუფლების კორუმპირებულობის თემის გაღვივება, რამაც გარკვეული ფონი შექმნა მისდამი განწყობის თვალსაზრისით. ეს პროცესი სერიოზულ ანალიზს და შესაბამისი დასკვნების გამოტანას მოითხოვს.

იდეოლოგიურად ჩვენი მთავარი ამოცანა არის მეწარმეობის აღორძინება, ბიზნესის განვითარება და ხელშეწყობა, იმ სფეროების წინსვლა, რომლებსაც მოსახლეობის დასაქმება მოჰყვება, ისეთი დასაქმება, რომელიც ადამიანებს უზრუნველყოფს ღირსეული ყოფით, ღირსეული არსებობით, ღირსეული ხელფასით. სხვაგვარად საქართველოს საიმედო მომავლის უზრუნველყოფა გაჭირდება. ჩვენი მომავალი ნავთობსადენებს, ევრაზიულ დერეფანს უკავშირდება და ჩვენც მოწმენი ვართ, ზოგიერთი წრის რა გააფთრებას იწვევს ეს. სწორედ ამ გააფთრების შედეგია ძველი სკივრიდან ეგრეთ წოდებული „ზვიადისტების“ ამოქექვა და ტერორისტული აქტების სერია, რათა ვიღაცეებმა მსოფლიოს დაუმტკიცონ, რომ საქართველო არასტაბილური ქვეყანაა და აქ ნავთობსადენების გაყვანა თუ დიდი ინვესტიციების დაბანდება გამართლებული არ არის. მაგრამ იმედი მაქვს, რომ გულუბრყვილო არც მსოფლიოა დღეს და არც ქართული საზოგადოება. ისიც ფაქტია, რომ ჩვენ მოვადუნეთ ყურადღება იმის მიმართ, რასაც ადრე პროვინციული ფაშიზმი ეწოდა.

ჩვენი შეჭირვებული ყოფის ფონზე დაგვიჩლუნგდა კრიტიკა, ინტელიგენცია თითქოს დაიბნა, არადა, ერისა და ქვეყნის განვითარებისათვის გეზის მიმცემი საქართველოში ყოველთვის ის იყო. უშუქობისა და სიძვირის გამო რაიონებში ვერ აღწევს ქვეყნის ახალი ამბები, იმის ანალიზი, რაც ხდება, საით მივდივართ, რა მიღწევა და ნაკლი გვაქვს. ამიტომ, ზოგჯერ, ზოგიერთ რაიონში დასაყრდენს პოულობენ პოპულისტები და უცხო ქვეყნებიდან მართული ძალები. ყველაფერ ამას გააზრება და გათვალისწინება უნდა.

ეს ყველაფერი კარგად უნდა გავითავისოთ. მე მეშინია, ისეთ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდეთ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ანუ არაჩვეულებრივი დემოკრატიული კანონებით ქაოსურ, არასტაბილურ ქვეყანაში. მინდა შეგახსენოთ, რომ უცხოეთში დიდ ინვესტიციებს იმ ქვეყნებშიც ხარჯავენ, სადაც ცხოვრების უმდაბლესი დონეა. ამიტომ იმაზეც ვიფიქროთ, ჩვენი შვილები და შვილიშვილები როგორი ქვეყნის მოქალაქეები უნდა იყვნენ.

ბოლო დღეებში კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ უკვე მოქმედებაა საჭირო. უნდა მოვიკრიბოთ ძალ-ღონე ანტისახელმწიფოებრივი ძალების ასალაგმავად. კიდევ ერთხელ უნდა გადავხედოთ ჩვენი პოლიტიკის მრავალ ასპექტს, ადამიანის უფლებათა უზენაესობის რეალობად ქცევის პარალელურად ქვეყანაში მტკიცე წესრიგზე უნდა ვიზრუნოთ. როცა მოსახლეობას ამდენი იარაღი აქვს, რომელიც შეიძლება ქვეყნის საწინააღმდეგოდ იყოს შემართული, და ეს მოხდა კიდეც, როცა არსებობენ კიდევ ბანდფორმირებები, საძმოებისა და ბანდიტების ნარჩენები და ამას ქვეყანა შეეგუოს, მე პირადად, შეუძლებლად მიმაჩნია. ხალხი დღევანდელი შეკრებიდან ბევრს მოელის. მოქალაქეთა კავშირის დღევანდელმა ყრილობამ უნდა გამოკვეთოს თავისი პოზიცია. მიმაჩნია, რომ ლოიალობის დრო უკვე დამთავრდა.

როცა წესრიგზე ვლაპარაკობ, სხვა მიმართულებებიც მაქვს მხედველობაში — სახელმწიფოებრივი წესრიგი სახელმწიფო სტრუქტურებში. ვინც ვერ უზრუნველყოფს თავისი მოვალეობის შესრულებას, ნებსით თუ უნებლიეთ უშლის ხელს ქვეყნის განვითარებას, უნდა წავიდეს. მიმაჩნია, რომ უნდა დაიწყოს სახელისუფლებო სტრუქტურების გაახალგაზრდავების პროცესი, უფრო აქტიურად მივიყვანოთ ბოლომდე ჩვენი სტრუქტურების რეორგანიზაცია.

მჯერა, რომ დღევანდელი ყრილობა გააგრძელებს იმ გზას, რომელიც დაიწყო ამ რამდენიმე წლის წინათ და რომელიც, საბოლოო ანგარიშით, ჩვენი ქვეყნის სრულ გამარჯვებამდე მიგვიყვანს.

კონკურენცია

# ნავთი „ცეცხლიდან“ გამოვიდა

თებერვლის პირველ ნახევარში ნავთს „ცეცხლი მოეკიდა“ – დედაქალაქის ცალკეულ უბნებში ერთი ლიტრის ფასი 70-80 თეთრამდე ავარდა. უფულო ხალხს ჯერ ისედაც უჭირდა ზამთრის გადაგორება და ახლა, რომ იტყვიან, ქვა აღმართში წამოეწია.

რა მოხდა?

იყო დრო, კაპიტალის ქვეყნებში კონკურენციის ქარიშხალი ხეებს ძირიანად რომ გლეჯდა, ცხონებულ საბჭოეთში ფოთოლსაც კი ვერ არხევდა. „საიმედოდ“ ვიყავით ჩაკეტილები და საბაზრო ეკონომიკის ტალღები ჩვენამდე ვერ აღწევდა. ახლა ჩვენც ჩავერთეთ ამ ორომტრიალში და ნიავის პატარა შემოქროლებაზეც კი ლერწამივით ვქანაობთ.

ეს ბევრმა ვერ გაიცნობიერა და ფასების ყოველ რყევაზე (თუმცა, ჩვენში ფასები ძირითადად მყარია) ავადმყოფურად რეაგირებს. ასე მოხდა ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაშიც – ნავთის გაძვირებას ხალხის აღშფოთება მოჰყვა. ამას თავისი მისამართიც ჰქონდა – სახელმწიფო კომპანია „საქნავთობპროდუქტი“.

რატომ მაინცდამაინც „საქნავთობპროდუქტი? – სხვა ფირმები და კომპანიები, რომლებიც ნავთის ბიზნესს ეწევიან, მხოლოდ საკუთარ ჯიბეზე ფიქრობენ, მაგრამ სახელმწიფო სტრუქტურამ ხომ მაინც უნდა იზრუნოს გაჭირვებული ხალხის ბედზეო, – იყო პასუხი.

მეც ზუსტად ასეთი პრეტენზია წავუყენე „საქნავთობპროდუქტის“ გენერალურ დირექტორს ვახტანგ კიკნაძეს, რომელიც ვერ ვიტყვი, რომ ჩემს სტუმრობას უხალისოდ შეხვდა. პირიქით, გახალისდა კიდეც – ეგებ ხალხმა გაიგოს, რა ფუნქციები გვაკისრია, როგორ პირობებში გვიხდება მუშაობა და ჩვენზე რეალური წარმოდგენა შეექმნასო.

საქმე ის გახლავთ, რომ „საქნავთობპროდუქტი“, რომელთანაც ჩვენ ასეთი პრეტენზიები გვაქვს, უმძიმეს ფინანსურ პირობებში იმყოფება. ამაში ბრალი ყოფილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიუძღვით, რომელთაც თავის დროზე კომპანიისგან დიდი რაოდენობით საწვავი მიჰქონდათ, გადახდით კი არაფერს იხდიდნენ. შემდეგ ისინი გაუქმდა, მაგრამ დარჩა ვალები (2,5 მილიონი ლარი), რომელიც კისერზე „საქნავთობპროდუქტს“ წამოეკიდა. შეიძლებოდა კრედიტი აეღო და მდგომარეობა შეემსუბუქებინა, მაგრამ მას ისეთი პროცენტი მოჰყვება, ბანკისკენ გახედვაც არ მოგინდება.

ასეთ პირობებში რა გზა გამონახეს?

საქმიანი, პარტნიორული ურთიერთობები დაამყარეს, ერთი მხრივ, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიასთან, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოში მოქმედ კომერციულ სტრუქტურებთან, რომელთაც აქვთ თანხები და სურვილი იმუშაონ ბიზნესის ამ სფეროში. „საქნავთობპროდუქტი“ მათ შუა ჩადგა, იკისრა პასუხისმგებლობა აზერბაიჯანული სახელმწიფო კომპანიიდან შემოიტანოს ნავთობპროდუქტები და სარეალიზაციოდ მისცეს ქართველ ბიზნესმენებს, ისე რომ მხარეებს შორის რაიმე გაუგებრობა არ მოხდეს (იყო შემთხვევები, როცა ქართულმა ფირმებმა აკრედიტივით წამოიღეს საწვავი, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ აკრედიტივი ყალბი იყო. ან კიდევ, აზერბაიჯანულმა ფირმებმა ჩვენებური ფირმებისგან ფული აიღეს, პროდუქცია კი აღარ მისცეს). ახლა ეს ყველაფერი გამორიცხულია, დღეს პარტნიორული ურთიერთობები აკავშირებს მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურებს – აზერბაიჯანის ნავთობკომპანიას და „საქნავთობპროდუქტს“, რომლებიც ერთმანეთს ენდობიან და ყველა პროცესს არეგულირებენ. აი, თუნდაც იმას, რომ ქართული კომერციული სტრუქტურები სარეალიზაციოდ ნავთობს სხვა ქვეყანაში არ გაიტანენ, არ ასწევენ ფასებს ისე, რომ ხალხმა ვერ გაუძლოს, დასჯერდებიან ზომიერ მოგებას და სხვა.

**— თუ ასეა, მაშინ ნავთზე ფასი კატასტროფულად რატომ გაიზარდა?** — ვეკითხები ბატონ ვახტანგ კიკნაძეს.

– ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. კერძოდ ის, რომ 15 იანვრიდან საერთაშორისო ბაზარზე მკვეთრად დაეცა ფასები ნავთობპროდუქტებზე. ამან, რა თქმა უნდა, გავლენა იქონია აზერბაიჯანის ნავთობგადამამუშავებელ საწარმოებზე, რომლის პროდუქციის თვითღირებულება მის სარეალიზაციო ფასზე 30-35 პროცენტით მეტი აღმოჩნდა. მათ, ბუნებრივია, პროდუქციის რეალიზაცია შეაჩერეს. ამას დაემატა აზერბაიჯანის პრემიერისა და ნავთობკომპანიის პრეზიდენტის იაპონიაში ვიზიტი, რომელთა დაბრუნებამდე ჩვენთვის ნავთის გამოყოფის საკითხი ვერა და ვერ გადაწყდა.

**— შემდეგ რას მიაღწიეთ?**

– იმას, რომ როგორც მეზობლებს და მუდმივ პარტნიორებს, საერთაშორისო ფასთან შედარებით იაფად მოგვცეს 5 ათასი ტონა ნავთი, რომელიც შემოვიტანეთ და უკვე იყიდება.

**— რა ფასად?**

– ჩვენ მას ბითუმად ლიტრს 29-30 თეთრად ვყიდით. ამან საშუალება მისცა კომერციულ სტრუქტურებს ავტოგასამართ სადგურებში ლიტრი 32-33 თეთრად გაყიდონ, რამაც დედაქალაქში და სხვაგანაც ფასები საგრძნობლად დასცა.

**— ახალი პარტიის შემოტანამდე ნუთუ დედაქალაქში ნავთის რესურსი არ იყო?**

– იყო 1500 ტონამდე, მაგრამ რადგან აზერბაიჯანიდან დროებით შეწყდა ნავთის შემოზიდვა, ცალკეულმა კერძო სტრუქტურებმა მომენტით ისარგებლეს და ფასი ზღაპრულად გაზარდეს.

**— ეს ხომ უზნეობაა?**

– როგორ გითხრათ, ბაზარს თავისი უმკაცრესი კანონები აქვს, მაგრამ ბიზნესმენს უნდა ეყოს სინდისი, რომ მომენტის და ხალხის გასაჭირის ხარჯზე ჯიბე უზომოდ არ გაისქელოს. იმ ფირმებმა, მაგალითად, „პარმან ჯორჯიამ“, „გლობაილ პეტროლიუმმა“, „გლგ“-მ, „მესხეთმა“, „ჯორჯიან ოილ პროდუქტმა“ და სხვებმა, რომლებიანაც ჩვენ ვთანამშრომლობთ, სინდისიერად იმუშავეს და მოგვეცეს საშუალება ფასები მოკლე დროში დაგვეგდო. მე მათთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

ეს ახლა როგორღაც გამოვედით მდგომარეობიდან, მაგრამ სხვა დროს როგორ მოვიქცეთ? ნუთუ სახელმწიფოში არ არსებობს მექანიზმი, რომელიც მოსახლეობას საერთაშორისო ბაზრის რყევებისგან დაიცავს? სხვაგან რა მოგახსენოთ, მაგრამ საქართველოში რომ ამაზე არავინ ფიქრობს, ეს გადატანილი (თუ ამას გადატანა ჰქვია) ნავთის დეფიციტისგანაც კარგად ჩანს.

ისე, ჩვენთვის რომ ეთქვათ, რისთვის არსებობს ქვეყანაში მატერიალური რესურსების სახელმწიფო დეპარტამენტი, თუ არა ასეთი გაჭირვების დღისთვის. მან უნდა შექმნას რეზერვები სახელმწიფოში არა მარტო საწვავის, არამედ სხვა პროდუქციისაც, რათა დეფიციტის დროს, როგორც იტყვიან, ისინი ბაზარში გამოყაროს, ფასები დასცეს და მოსახლეობას გასაჭირი ერთგვარად შეუმსუბუქოს.

ასრულებს დეპარტამენტი ამ მოვალეობას? ვერა. ან როგორ შეასრულებს, როცა ბიუჯეტი ასეთი რეზერვების შესაქმნელად მას ვერაფერს აძლევს? მაშინ საკითხავია, იგივე ბიუჯეტი რატომ ინახავს დეპარტამენტს, რომელიც თავის ფუნქციას ვერ ასრულებს?

და კიდევ, გაუგებარია რატომ არ აძლევენ „საქნავთობპროდუქტს“ უფლებას, იქონიოს საკუთარი ნავთობბაზა (გინახავთ მელეინე მარნის გარეშე?), აგრეთვე, ბენზინგასამართი სადგურები, სადაც ის შემოტანილ საწვავს გაყიდის? თურმე იმიტომ, რომ ზემოთ ემინიათ სახელმწიფო კომპანია მონოპოლისტი არ გახდეს და კანონსაწინააღმდეგო ქმედება არ ჩაიდინოს.

მე კი ვფიქრობ, ვინც ამას აკეთებს, მას ერთმანეთში ერევა მონოპოლია და კონკურენცია. ვერ გამიგია, თუ სახელმწიფო კომპანია ნავთობპროდუქტების ბაზარზე კომერციულ სტრუქტურებს ჯანსაღ კონკურენციას გაუწევს და ფასებს დაარეგულირებს, ამით ანტიმონოპოლიურ კანონს რა დაუშავდება?

კანონს არაფერი, თვით სახელმწიფო კომპანია, ბიუჯეტი და მოსახლეობა კი დიდად მოიგებენ. მით უფრო, რომ ამის მაგალითს საზღვარგარეთული გამოცდილება იძლევა. იქაური სახელმწიფო ნავთობკომპანიები („ეკო“ საბერძნეთში, „ელფი“ საფრანგეთში, „აჯიპი“ იტალიაში) თავიანთი ფართო სავაჭრო ქსელით აქტიურად მონაწილეობენ კონკურენციაში და კარგ საქმესაც აკეთებენ.

ჩვენც მათთვის ხომ არ მივბაძოთ? ალბათ, ღირს ამაზე დაფიქრება.

ოთარ ხუციშვილი

საქართველოს რესპუბლიკა
№46. ოთხშაბათი, 25 თებერვალი, 1998 წელი.



საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფი მიშელ კამდესიუ რუსეთს შეპირდა 10 მილიარდ დოლარ კრედიტს. პრემიერი ჩერნომირდინი, რომელსაც ამ სურათზე ხედავთ კამდესიუსთან ერთად, ფრიად კმაყოფილია.

## ეძებეთ ქალი!

ვენესუელის სპეცსამსახურებმა დააკავეს ქალი, რომელიც ეჭვმიტანილია მრავალი ტერაქტის ჩადენაში, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. სესილია როზა ნუნეს ჩეპანა ვენესუელაში დააპატიმრეს კოლუმბიიდან ჩასვლისთანავე. პერუს ხელისუფლებმა ვენესუელის მთავრობას მიმართეს თხოვნით, გადასცეს დაკავებული ქვეყნის მართლმსაჯულების ორგანოებს. პერუს სამართალდამცველი ორგანოების განცხადებისამებრ, ნუნესი უშუალო მონაწილეობას იღებდა მთელი რიგი ტერორისტული ოპერაციების განხორციელებაში ქვეყნის ტერიტორიაზე. სწორედ მან მოამზადა და განახორციელა 1992 წელს ავტობუსის აფეთქება ლიმაში, როდესაც ოცზე მეტი კაცი დაიღუპა. როგორც ვარაუდობენ, ნუნესის ტერორისტული საქმიანობა არ შემოიფარგლება მარტოოდენ პერუს ტერიტორიით.

## მგეც შენი მკურნალი!

კენიელი ექიმი, რომელმაც განსაკუთრებით ცინიკურად დაარღვია სამედიცინო ეთიკის ნორმები, სასამართლოს წინაშე წარსდგება, წერს „დეილი ტელეგრაფი". ნაირობის ერთ-ერთი კლინიკის ექიმმა ყურიდან მუხუდოს მარცვალი ამოუღო ექვსი წლის გოგონას, მაგრამ მამამისს ფული არ ეყო ამ მარტივი ოპერაციის საფასურის გადასახდელად. „კეთილმა ექიმმა აიბოლიტმა", ბავშვს ისევ ჩაუდო ყურში მუხუდოს მარცვალი, მიუხედავად იმისა, რომ კენიაში ნებადართულია სამედიცინო დახმარების საფასურის განვადებით გადახდა.

## დასჭირდებათ ისრაელებს აირწინაღები?

ისრაელის თავდაცვის სამინისტროს განზრახული აქვს, დააჩქაროს მოსახლეობაში არსებული აირწინაღების განახლების პროცესი, წერს გაზეთი „ჯერუზალემ პოსტი". თელ-ავივის ცენტრში, იად ელიაჰუს სტადიონზე მოსახლეობამ უკვე დაიწყო ძველი აირწინაღების ჩაბარება და გადაცვლა ახლის ასაღებად. უახლოეს ხანს მთელ ქვეყანაში იმოქმედებს სამოცზე მეტი ასეთი პუნქტი, სადაც ქვეყნის მცხოვრებთ შეეძლებათ არა მარტო განიახლონ ინდივიდუალური დაცვის საშუალებანი, არამედ მიიღონ კიდევ შესაბამისი რეკომენდაციები სამოქალაქო თავდაცვის შტაბის წარმომადგენლებისაგან. რაც შეეხებათ უცხოელებს, მათ ქიმიური დაცვის საშუალებანი უნდა იყიდონ სპეციალიზებულ მაღაზიებში, წერს გაზეთი.

## რუსეთმა საფრა-ს გაუსწრო... ოღონდ დამნაშავეობით

საფრა-ს ტერიტორიაზე კვლავინდებურად აქტიურობენ დამნაშავეთა ჯგუფები, წერს ბრიტანული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი". ამ რამდენიმე დღის წინათ დამნაშავენი თავს დაესხნენ იოჰანესბურგიდან ჩრდილოეთის მიმართულებით მიმავალ საბანკო ფურგონს. ბანდიტებმა დახოცეს თერთმეტი ინკასატორი და ხელთ იგდეს დაახლოებით ოცი მილიონი დოლარი ნაღდი ფული. პოლიციის აზრით, ოპერაციის წარმატება განაპირობა დამნაშავეთა საუცხოო ინფორმირებამ, რომლებიც სარგებლობენ ხელისუფლებისა და კანონის კორუმპირებულ წარმომადგენელთა მომსახურებით. დღეს დანაშაულობათა სინდიკატებში ხელიხელჩაკიდებული მოქმედებენ აპარტეიდის რეჟიმის წარმომადგენლები და მათი ყოფილი მტრები, ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობა. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის წარმომადგენელთა შეფასებით, ახლა საფრას კოლუმბიისა და რუსეთის შემდეგ მესამე ადგილი უკავია მსოფლიოში ორგანიზებული დამნაშავეობის დონის მიხედვით.




საავიაციო გაერთიანება „პროგრესის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, შეამციროს მომუშავეთა რიცხოვნობა ერთბაშად ათასი კაცით, აგრეთვე, საზღვარგარეთ გაყიდოს „კა-50-2" შვეულმფრენების წარმოების პატენტი.

სურათზე: შრომითი კოლექტივის წარმომადგენლები მიტინგს აწყობენ იმის გამო, რომ უკვე 19 თვეა არ მიუღიათ ხელფასი.

## ბავშვთა პორნოგრაფია — ათასიანი ტირაჟებით

ამერიკაში ნამდვილი სკანდალი ატყდა „ბარნს ენდ ნოუბლ" წიგნის მაღაზიების უდიდესი ქსელის ირგვლივ, წერს ბრიტანული გაზეთი „ტაიმსი". ქვეყნის სამხრეთში, ტენესისა და ალაბამის შტატებში დაიწყო სასამართლო გარჩევა იმის გამო, რომ ფირმის მაღაზიებში იყიდება წიგნები, რომლებიც შეიცავენ ბავშვთა პორნოგრაფიის ელემენტებს. დავით ჰამილტონისა და ჯოკ სტეჯესის წიგნებში, რომლებიც უკვე დაახლოებით 60 ათასი ეგზემპლარის ოდენობით გაიყიდა, დაბეჭდილია შიშველი ბავშვების ფოტოსურათები და თუმცა, კომპანიის ადვოკატები ამტკიცებენ, რომ წიგნებს ნამდვილად საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვთ, შტატის ხელისუფალნი ილუსტრაციებს უწმაწურად მიიჩნევენ. ალბათ, ფირმის მფლობელებს გადახდებათ გვარიანი ჯარიმა, დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარი.

## რა მოხდა გვატემალაში?

სპეციალურად შექმნილმა საერთაშორისო კომისიამ დაამთავრა გამოძიება გვატემალის სამოქალაქო ომის პერიოდში ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტების გამო, წერს ამერიკის „სან-ფრანცისკო კრონიკლი". ოფიციალური მონაცემების თანახმად, 36 წლის ომის მანძილზე დაიღუპა 140 ათასზე მეტი კაცი. სულ მალე დაასახელებენ ეროვნული ტრაგედიის მთავარ დამნაშავეთა სახელებს. ფორმალურად კონფლიქტი შეწყდა 1996 წლის დეკემბერში, როდესაც ხელი მოაწერეს მშვიდობიან შეთანხმებას მმართველ სამხედრო რეჟიმსა და ამბოხებულებს შორის. მაგრამ, დიქტატურის ძალებისა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შეიარაღებული შეტაკებანი კვლავაც გრძელდება, წერს გაზეთი.

## ფრანგებმა ნატოელ მოკავშირეებს უგანეს

აანალიზებს რა საფრანგეთის პოზიციას ერაყის კონფლიქტში, გერმანიის გაზეთს „ფრანკფურტერ ალგემაინეს" გამოაქვს დასკვნა, რომ იგი ვნებს საფრანგეთის ავტორიტეტს უშიშროების პოლიტიკის დარგში. დასავლეთის ალიანსში საფრანგეთის განსაკუთრებული სტატუსის დაუწერელი პირობაა მისი მოკავშირეების რწმენა, რომ საჭიროების შემთხვევაში პარიზი მათ გაუწევს სამხედრო დახმარებას. დე გოლს არასდროს დაუყენებია ეჭვქვეშ ეს მოსაზრება. მიტერანის ბრძანებით, ფრანგი ჯარისკაცები მონაწილეობდნენ სპარსეთის ყურის ომში, თუმცა, პარიზის მთავრობის ყველა წევრი როდი იყო ამის მომხრე. რა შედეგი მოჰყვება ამჯერად საფრანგეთის ჯარს, გამოიჩინოს სოლიდარობა მოკავშირეებისადმი, ერაყზე სამხედრო დარტყმის მიყენების შემთხვევაში? ეს კითხვა იმდენად საჩოთიროა, რომ პარიზი ახლა ცდილობს ყველაფერი იღონოს, რათა იგი უპასუხოდ დატოვოს, წერს გაზეთი.



გაუთავებელი ომის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ქაბულელი ბავშვები მიაწყდნენ თონეს, სადაც პური დაბალ ფასად იყიდება. დაახლოებით 30 ათასი დაზარალებული ოჯახი იღებს დახმარებას წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისაგან, რომელიც ავღანეთში ჰუმანიტარული დახმარების უდიდეს პროგრამას ახორციელებს.

## გაუქმდება საზღვარი 38-ე პარალელზე?

ამერიკის გაზეთი „კრისჩენს საიენს მონიტორი" აქვეყნებს ზოგიერთ მონაცემებს კორეის ნახევარკუნძულზე ნახევარი საუკუნის წინათ მომხდარი ომის შედეგების შესახებ. სამხრეთისა და ჩრდილოეთის ომი 1950 წლის ივნისში დაიწყო. სამი წლის შემდეგ სისხლისღვრა შეწყდა მეომარ მხარეთა შეთანხმების წყალობით. და 38-ე პარალელის გაყოლებით გაავლეს საზღვარი, რომელიც სამხრეთ კორეას კომუნისტი მეზობლისაგან ჰყოფს. ომის დროს სამხრეთელებმა დაკარგეს სამოცი ათასამდე სამხედრო. მათმა მოკავშირე ამერიკელებმა დაკარგეს 54 ათასი დაღუპულთა სახით, ასი ათასზე მეტი დაიჭრა. გაეროს მიერ შემოყვანილი ძალების კონტინგენტში დაიღუპა სამი ათასზე მეტი სამხედრო. ჩინეთმა, რომელიც აქტიურად უჭერდა მხარს ჩრდილოეთის კომუნისტურ მთავრობას, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა, — დაახლოებით მილიონი დახოცილი და დაჭრილი. ჩრდილოეთმა მშვიდობიან მცხოვრებლებთან ერთად დაკარგა 500 ათასზე მეტი კაცი. არცთუ დიდი ქვეყნისათვის, წერს გაზეთი, მართლაც რომ შთამბეჭდავი ციფრებია.

## ასე მიდიან პერები

ბრიტანეთის ლორდთა პალატის უხუცესი პერი ლორდი გრენვილი, რომელმაც თავისი მე-100 დაბადების დღე გადაიხადა კოლეგებისა და თანაპარტიელი ამხანაგების წრეში, და საგანგებოდ მივიდა მათთან შესახვედრად ვესტმინსტერის სასახლეში, ზეიმიდან ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა ლონდონის ღრმად მოხუცებულთა სახლში. პირველი მსოფლიო ომის ვეტერანი გრენვილი 1929 წელს აირჩიეს თემთა პალატაში ლიბერალური პარტიისაგან და უცვლელად ეკავა დეპუტატის სავარძელი 1951 წლამდე. 1967 წელს მას ებოძა სამისდღეშიო პერობა და ლორდთა პალატაში გადავიდა. ამ ბოლო წლებში იგი ათასში ერთხელ თუ გამოჩნდებოდა პალატის სხდომებზე ხანდაზმულობის გამო და, საიუბილეო ვიზიტს, ეტყობა, ველარ გაუძლო.

## რუსეთი „სერიულ მკვლელს" ეხმარება?

სივი ომის დროის პროპაგანდის კლასიკური ტრადიციებით არის გამსჭვალული გაზეთ „ბოსტონ გლოუბის" სტატია ერაყის კრიზისში რუსეთის როლის შესახებ. გაზეთი მკითხველს შეახსენებს იმ გახმაურებულ მასალას, რომელიც წინა კვირაში დაბეჭდა „ვაშინგტონ პოსტმა". წერილში ნათქვამი იყო, რომ გაეროს ექსპერტებმა აღმოაჩინეს დოკუმენტი, რომელიც მოწმობს, რომ რუსეთმა და ერაყმა დადეს კონტრაქტი ბაქტერიოლოგიური იარაღის დასამზადებლად გამოსადეგი მოწყობილობის მიწოდების შესახებ. რუსეთის მხარის ოფიციალური უარყოფა ამერიკის პრესამ საკმარისად არ ჩათვალა. „ბოსტონ გლოუბმა" თავის კოლეგებზე უფრო ღრმად შესტოპა და რუს დიპლომატებსა და დაზვერვის თანამშრომლებს ბრალად დასდო გაეროს ინსპექტორთა მიერ მოპოვებული საიდუმლო მონაცემების გადაცემა სადამ ჰუსეინისათვის, უფრო მეტიც, გაზეთი აცხადებს, რომ საჯაშუშო საქმიანობა ნაწილია რუსეთის საგარეო პოლიტიკისა ერაყის მიმართ და წარმოებს ლამის ევგენი პრიმაკოვის ლოცვა-კურთხევით. გაზეთი ურჩევს პრეზიდენტ კლინტონს, გავლენა მოახდინოს პრეზიდენტ ელცინზე, რათა მისმა მინისტრებმა შეუწყვიტონ დახმარება „სერიულ მკვლელს ჰუსეინს".




მასობრივი ინფორმაციის წარმომადგენლები ათვალიერებენ მალაიზიის დედაქალაქის კუალა-ლუმპურის ახალ საერთაშორისო აეროპორტს, რომლის მშენებლობაც ორი მილიარდი დოლარი დაჯდა. მისი გახსნის წინ ხელისუფალთ სურთ დარწმუნდნენ, რამდენად საიმედოა ფრენის მართვის და მგზავრთა მომსახურების სისტემები.

## კასტრო ქრისტიანულ სულგრძელობას იჩენს

კუბის მთავრობამ გაათავისუფლა 299 ტუსაღი, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო. ამნისტირებულთა შორის არიან პოლიტპატიმრები, მაგრამ ძირითადი კრიტერიუმი გახდა ჰუმანურობის მოსაზრებანი — კუბის ხელისუფლებმა ყველაზე მძიმე ავადმყოფები და დაუძლურებული ტუსაღები გაათავისუფლეს. კუბაში ვიზიტის დროს რომის პაპმა ფიდელ კასტროს გადასცა 300 გასათავისუფლებელი ტუსაღის, მათ შორის, 150 პოლიტპატიმრის სია, მაგრამ კუბის მთავრობამ განაცხადა, რომ დაახლოებით 70 მათგანს ჩადენილ დანაშაულობათა სერიოზულობის გამო, ამნისტია ვერ შეეხება.

## სულ არარაობას მაინც სჯობს...

გერმანული გაზეთი „დი ველტი" კომენტარს ურთავს რუსეთის პრეზიდენტის მიმართვას ფედერალური კრებისადმი. ბორის ელცინის დაპირება, რომ „ცხოვრება საინტერესო გახდება", არ გამართლდა, წერს გაზეთი სტატიაში „სტაბილური მოწყენილობა". რუსეთის მოქალაქენი, აღნიშნავს გაზეთი, ვერ შთააგონა ამ საოცრად ულიმღამო მოხსენებამ, რომელსაც კრემლელი სპიჩრაიტერები რამდენიმე თვეს წერდნენ. მაგრამ, მოწყენილობა შეიძლება სტაბილურობის მაჩვენებელიც იყოს. მართალია, ელცინის სიტყვები უკვე ისე ველარ ალაფრთოვანებს რუსეთს, როგორც 1991 წელს, მაგრამ მისთვის პრეზიდენტი მაინც სტაბილურობის გარანტია. ხოლო, ცოტაოდენი სტაბილურობა შფოთიანობის ჟამს — მაინც რაღაცას ნიშნავს, დასძენს „დი ველტი".

## თუ გეცეკვება, მუხლამდე წყალშიც იცეკვებ

რიო დე-ჟანეიროში დაიწყო ყოველწლიური კარნავალი, იუწყება როიტერის სააგენტო. დღესასწაულისა და დროსტარების დედაქალაქში ჩამოვიდა ათი-ათასობით ბრაზილიელი და უცხოელი ტურისტი. ახლა ყველაფერი ამინდზეა დამოკიდებული. ბრაზილიელები ცას ევედრებიან, რომ დღესასწაული არ გაუფუჭოს ტროპიკული თქეშით. წინა კვირას კოკისპირული წვიმების შედეგად დაიტბორა რიოს ქუჩები, ხოლო ზოგიერთ რაიონში ელექტრობა გამოირთო. მაგრამ, როგორც ქალაქის ხელისუფალნი იუწყებიან, დღესასწაულის მთავარი მოედანი „სამბადრომი" ყველაზე ძლიერ თქეშსაც გაუძლებს. რვა წლის წინათ სამბას მოცეკვავეთა აღლუმი მუხლამდე წყალში მიმდინარეობდა, მაგრამ ბუნების ჭირვეულობამ ვერ გაუფუჭა განწყობილება დღესასწაულის მონაწილეებს.

## „წიწაკიან გოგოებს" ინდოეთში არ უშვებენ




ცნობილმა ინდოელმა კლასიკურმა მოცეკვავემ მთავრობას მიმართა თხოვნით, გააუქმოს ბრიტანეთის პოპჯგუფის „სპაის გიორლზის" კონცერტი, იუწყება ამერიკის გაზეთი „ჩიკაგო ტრიბუნი". საქმე ის არის, რომ ჯგუფს განზრახული აქვს ამა წლის ნოემბერში კონცერტი გამართოს ქალაქ ხაჯურაჰოს ცენტრში. ათ საუკუნეზე მეტი წლის წინათ აშენებული ქალაქი ცნობილია ეროტიკული ქანდაკებების სიუხვით. და სწორედ მათ ფონზე უნდა მოეწყოს სუპერ-შოუ. მაგრამ, მოცეკვავის აზრით, ჯგუფის სკანდალური იმიჯი იძლევა საფუძველს ივარაუდონ, რომ ინდოელებისათვის წმინდანთა წმიდა ხატები ბანალურ პორნოგრაფიად გადაიქცევა.

## გადასცემენ უცხოეთის მართლმსაჯულებას ამერიკელ მფრინავებს?

იტალიის იუსტიციის სამინისტრო მოითხოვს, მიანიჭონ უფლება, თავად აწარმოოს სასამართლო გარჩევა ამერიკელ მფრინავთა საქმის გამო, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო. როგორც ცნობილია, 3 თებერვალს ამერიკის საზღვაო-ქვეითი ჯარის თვითმფრინავმა, რომელიც საწვრთნელ ფრენას ასრულებდა, გადაჭრა ბაგირგზის გვარლი იტალიის სათხილამურო კურორტზე, რის შედეგადაც ვაგონი, რომელშიც 20 მგზავრი იყო, 200 მეტრი სიმაღლიდან მიწას დაენარცხა, ამჟამად მიმდინარეობს ტრაგიკული ინციდენტის ერთობლივი გამოძიება. იტალიის მართლმსაჯულება მოითხოვს, რომ მფრინავები და მათი სარდლობა წარსდგნენ სასამართლოს წინაშე იტალიაში, დანაშაულის ადგილზე. ნატოს ავიანოს ავიაბაზის წარმომადგენელმა იტალიის მხარეს აღუთქვა, რომ შეერთებული შტატები სერიოზულად განიხილავს მოთხოვნას. მაგრამ, მან დასძინა, რომ ნატოს ისტორიაში არ ყოფილა უცხოეთის მართლმსაჯულებისათვის ამერიკელი სამხედროების გადაცემის პრეცედენტი.

## პრეზიდენტს აქვს უფლება გააკონტროლოს

მეხიკოს პოლიციამ მოაწყო ოპერაცია დედაქალაქის ბაზარზე ქვეყნის ახლანდელი პრეზიდენტის პლასტმასის ნიღბების გაყიდვიდან ამოსაღებად.

პოლიციამ მოღიმარი, თვალებგადმოკარკლული ერნესტო ზედილოს მხოლოდ ჩვიდმეტი ნიღბის კონფისკაცია მოახერხა. ვაჭრებს გვარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევთ.

სხვადასხვა პოლიტიკური მოღვაწეების ნიღაბკარიკატურები ძალზე პოპულარულია მეხიკოში, განსაკუთრებით ქუჩის მსახიობთა შორის და საღამოს წვეულებებზე. აქ ნებისმიერ კაცს შეუძლია გახდეს ლურჯცხვირა ბილ კლინტონი, ბანალური გორბი ან ყურპარტყუნა კარლოს სალინას დე გორტარი, ქვეყნის ექსპრეზიდენტი. მაგრამ, მექსიკის კანონების შესაბამისად, ყველას, მით უმეტეს, ქვეყნის პრეზიდენტს, უფლება აქვს, გააკონტროლოს თავისი სახის ნებისმიერი მოხმარება, წერს გაზეთი „რეფორმა".

## ოქსფორდის კურსდამთავრებულნი სიტყვა „კონტრრევოლუციას" ერთი „რაე"-თი წერენ

ბრიტანეთის სასწავლო გეგმებისა და კვალიფიკაციის კომისიამ მთავრობას წარუდგინა მოხსენება, რომელიც მოწმობს, რომ 14 წლის ინგლისელი მოსწავლეების ცოდნა საკვანძო საგნებში კატასტროფულ დონეზეა. უფროსკლასელთა ნახევარზე მეტს წარმოდგენაც არა აქვს იმაზე, რომ მზე აღმოსავლეთით ამოდის და დასავლეთით ჩადის. რუკაზე ერთმანეთში ერევათ ჩრდილოეთი და სამხრეთი. ბევრს ვერ განუმარტავს, რა მდებარეობა უკავია ჩვენს პლანეტას ვენერასა და იუპიტერის მიმართ. 14 წლის ყმაწვილებმა არ იციან, რიცხვის პროცენტის გამოანგარიშება და ათწილადების შეკრება-გამოკლება.

კიდევ უფრო უარესად არის წიგნიერების საქმე. გამოკითხულ უფროსკლასელთა ნახევარი ვერ ამჩნევს გრამატიკულ განსხვავებას სიტყვებში „მათი" (their), „იქ" (there) და „ისინი არიან" (they are) ამ სიტყვების წარმოთქმის მსგავსების გამო.

თუმცა, რა უნდა მოსთხოვო უფროსკლასელებს, როდესაც სტუდენტებმაც კი არაფერი იციან! ოქსფორდის უნივერსიტეტის ყოფილი მასწავლებელი ბერნარდ რიჩარდსი, რომელმაც ბრიტანეთის მეცნიერების ტაძარში მეოთხედი საუკუნე იმუშავა, განგაშს ტეხს ოქსფორდის სტუდენტთა... შემზარავი უწიგნურობის გამო! რიჩარდსმა შეაჯამა შეცდომები, რომლებსაც სტუდენტები რეგულარულად იმეორებდნენ და ოქსფორდელებს მიანიჭა „სიბრიყვის პრიზი". მაგალითად, სიტყვა „კონტრრევოლუციას" ოქსფორდის სტუდენტები წერენ ერთი „რაე"-თი. სიტყვა „economist" ოქსფორდული მართლწერით გადაიქცა „econiamit"-ად, ხოლო „capitalist" — „capatalist"-ად!

შეცდომით წერენ ისეთ სიტყვებს, როგორიც არის „ამინდი", „არგუმენტი", „ბროოტი", „აგრესია", „იარლიყი", „შემთხვევა" (ცხადია, ინგლისურად) და ა. შ. ამთავრებს რა გრამატიკული შეცდომებით უგრძეს ნუსხას, ბერნარდ რიჩარდსი გულისტკივილით აღიარებს, რომ ძალიან ხშირად ოქსფორდი ვერ ამართლებს თავის მაღალ რეპუტაციას.




„კომსომოლსკაია პრავდა", № 34.

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას" მასალების მიხედვით.

გვერდის რედაქტორი
არჩილ მანჯგალაძე.

## თარგმანი



# ნაზი კილასონია

*ვთავაზობთ ქართული პოეზიისა და პროზის უბადლო მცოდნის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულის ჰასან ჩელიკის მიერ თურქულ ენაზე შესრულებულ ცნობილი პოეტის ნაზი კილასონიას ლექსების თარგმანს, რომელიც დაიბეჭდა სტამბოლში გამომავალ თურქულ-ქართულენოვან ჟურნალ „მამულის" მეოთხე ნომერში.*

## NAZI KILASONIA

Tanınmış Gürcü Şairi Nazi Kilasonia 1927'de doğmuştu. Tiflis Devlet Üniversitesi Batı Avrupa Dilleri ve Edebiyatı Fakültesini bitirdi. İlk şiirlerini 1952'de ''Pirveli Shivi'' (edebiyat yıllığı) ve ''Literaturuli'' Sakartvelo gazetesinde yayınladı. 1960 yılından vefatına kadar ''Sakartvelos Kali'' dergisinde edebiyat ve sanat bölümü başkanı olarak çalıştı. Ondan fazla şiir kitabı ve bir kaç çocuk kitabını yayınladı. Şiirleri yabancı dillere çevrilmiştir.

Nazi Kilasonia 1994'te vefat etti.

## Gürcü aşk şiirleri

**Nazi Kilasonia** (ნაზი კილასონია)

Şiirlerden ve yanmaktan yorgun
Gider kırlarda yığılır kalırım,
Aşk değildi benim istediğim
Bambaşka bir şey, daha kutsal,..

*

Ne kötü tanımışsın beni heyhat,
Boşuna bağlamışım umutlarımı sana.
On tane yüreğe layıkım ben,
Bir tanesini de kıyamadın sen oysa.

*

Gözlerinin yorgun ışvesını
Yanımda götürdüm belemir gibi,
Yalnızca çocukluğunu seviyordum senin,
Gayri tatmak istemiyorum erkekliğini.

*

Gidiyorum, sal gibi ardımda Kura
Ve alevlerce yıldızlar kümesi.
Kalbini kırdım, lütfen bağışla,
Acı daha çok hatırlatır beni.

*

İsterim ki hatırlayayım her zaman her yerde,
Süsleyesin sayısız hayâllerimi,
Hiçbir zaman sevemedim yine de,
Aşka kıyamadım seni.

*

Çocukça uzatılmış bir boyun
Ve yorgun ceylan gözlerin:
Neden kaldı belleğimde öyle,
Başka bir renkte, başka gizemlerle.

*

Öyle iyisin ki başkasına kıyamam seni,
Aydınlık hayalim bulutlarla sislendi
Yeniden sevdirme bana kendini
Kapat, erkeksi değil,ürkek ceylan gözlerini.

წავალ, დავეცემი მინდორთან
დაღლილი ლექსით და წვითა,
განა სიყვარულს მინდოდა?
სხვა რაღაც, უფრო წმინდა...

*

ვაი, რა ცუდად გიცვნივარ,
რა ტყუილად გდებდი იმედებს.
მე ათი გულის ღირსი ვარ,
შენ ერთიც ვერ გაიმეტე.

*

შენი თვალების დაღლილი ეშხი
თან გამყვა, როგორც ლურჯი ღილილო.
მე მხოლოდ ბავშვი მიყვარდა შენში,
და აღარ მინდა კაცად გიხილო.

*

მივდივარ, მომდევს მტკვარი სატივე,
და ანთებული ზეცა ხომლებით.
გული გატკინე და მაპატიე, –
ტკივილით უფრო გემახსოვრები.

*

მინდა მახსოვდე ყველგან, ყველა დროს,
შენზე ოცნება მინდა ურიცხვი,
ვერ შეგიყვარე მაინც ვერასდროს,
ვერ გაგიმეტე სიყვარულისთვის.

*

რად ჩამრჩა ხსოვნაში ისევე
სხვა ფერით, სხვა იდუმალებით.
ბავშვურად გაწვდილი კისერი
და შველის დაღლილი თვალები.

*

შენ ისე კარგი ხარ: სხვისთვის მენანები,
ნათელი ოცნება ღრუბელმა შენისლა...
აღარ შემიყვარდე: დახუჭე თვალები
კაცისა კი არა – დამფრთხალი შველისა.

## სპორტი



# წლის საუკეთესო სპორტსმენები თურქეთში

*გაზეთ „მილიეთის" ცნობით, თურქეთის წლის საუკეთესო № 1 სპორტსმენად აღიარეს ცნობილი მოჭიდავე ჰამზა იერლიკაია. წლის № 4 სპორტსმენი გახდა ჩვენი თანამემამულე, მშვილდოსანი ნატალია ნასარიძე.*



## ხელოვნება



# თურქული ბალეტის იუბილე

ამ დღეებში, როდესაც თურქული ბალეტის 50 წლისთავი აღინიშნება, ყურადღება მიიქცია ანკარის სახელმწიფო ბალეტმა, სადაც 1996 წლიდან მთავარ ქორეოგრაფად მუშაობს **ფაჰრეთინ გუვენი**. ფ. გუვენმა წარმატებით დადგა ახალი საბალეტო სპექტაკლი „ცეკვა სიმფონიებით". იგი სამი ნაწილისაგან შედგება: შუბერტი – „დაუმთავრებელი სიმფონია", რაველი – „ბოლერო" და ბეთჰოვენის მე-7 სიმფონია. ბალეტს წილად დიდი წარმატება ხვდა.

## ხსოვნა

# ლეილა ერაძე

კარგა ხნის წინათ, ივლისის თაკარა სიცხეში ვერის ბაღში სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე მისაღები გამოცდებისათვის ვემზადებოდით. ოთხნი, მათ შორის, შენ, ერთად ვმეცადინეობდით. ოთხივემ წარმატებით ჩავაბარეთ მისაღები გამოცდები. შენ თურქული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე ჩაირიცხე და ბოლომდე თურქოლოგიის ერთგული დარჩი.

სტუდენტობის წლებიდან პოეზიასთან წილნაყარი იყავი, ლექსების რამდენიმე კრებულიც გამოაქვეყნე, თურქი მწერლების ნაწარმოებებიც თარგმნე.

ჯერ საკანდიდატო დისერტაცია დაიცავი, შემდეგ – სადოქტორო. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აზერბაიჯანული პოეზიისა და პროზის შენეული თარგმანები და აზერბაიჯანის კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებთან შენი მეგობრული, ძმური ურთიერთობა. დღესაც გვახსოვს ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე შენი გამოსვლები საიათნოვას, მირზა ფათალი ახუნდოვისა და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა ხსოვნის საღამოებსა თუ სახალხო შეკრებებზე.

ღვაწლი დაგიფასდა, ბრწყინვალე თარგმანებისათვის მოგენიჭა რასულ რზას და ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიები, აზერბაიჯანის კულტურის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია შენი მოღვაწეობა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს პირველი მდივნის თანამდებობაზე, სადაც ქართულ-აზერბაიჯანული კულტურული ურთიერთობის ფრიად საშურ საქმეს ემსახურებოდი.

ბევრი რამ გქონდა დაგეგმილი მოძმე აზერბაიჯანელ ხალხთან კულტურული, მეგობრული, ძმური ურთიერთობის განმტკიცების ამ სასიკეთო საქმეში, მაგრამ არ დაგცალდა.

ჩვენო ლეილა! მარადჟამს ემახსოვრები შენს ახლობლებსა და კოლეგებს.

მეგობრები.



**მეზობელო კარისაო...**

მხატვარი ვახტანგ კუცია.

სარედაქციო კოლეგია:
აბესალომ იმედაშვილი (რედაქტორი), ანზორ ბასილაია, მურმან ბელთაძე, ნელი გურგენიძე, ოთარ დოლიძე, მიხეილ სვანიძე, ჯემალ ქარაზანიშვილი, ნოდარ ჯანაშია.
ტელ: 99-73-01.

ხიდი KÖPRÜ
საქართველოს რესპუბლიკა
ყოველთვიური დამატება № 13 (64)

ვინ მოყვარესა არ ეძებს,
იგი თავისა მტერია.
შოთა რუსთაველი

KİM DOSTUNU ARAMAZSA,
KENDİ CANINA DUŞMANDIR
EVVEL.
Şota Rustaveli

# საქართველო გადარჩა!



საქართველოს პრეზიდენტის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მისალოცი ბარათების ნაკადს ჯერ კიდევ არ ეკლო, რომ საქართველო, მთელი მსოფლიო თავზარდამცემმა ამბავმა შეაძრწუნა: 9 თებერვალს გარეწრებმა გორგასლის ქუჩაზე ტერორისტული აქტი, ფაქტობრივად სამხედრო ოპერაცია განახორციელეს. საბედნიეროდ, საქართველოს მტრებს ამჯერადაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ — პრეზიდენტი გადარჩა, გადარჩა სრულიად საქართველო.

სამწუხაროდ, ავაზაკებმა ორი ვაჟკაცი მოგვიკლეს, რომლებმაც თავიანთი ვალი პრეზიდენტის, სამშობლოს წინაშე პირნათლად მოიხადეს.

სამარადისო დიდება მათ!

კვლავ ასობით და ათასობით დეპეშა.

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს გადარჩენას ულოცავენ მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწენი, სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანები, ორგანიზაციები, შემოქმედებითი კოლექტივები.

ბევრი დეპეშაა მიღებული ჩვენი მეგობარი თურქეთიდან.

საქართველოს პრეზიდენტს თანაგრძნობა გამოუცხადეს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა, პრემიერ-მინისტრმა მესუთ ილმაზმა, მეჯლისის თავმჯდომარემ ჰიქმეთ ჩეთინმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ისმაილ ჯემმა და სხვ.

გადარჩენას ვულოცავთ საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.

. საქვეყნოდ ვაცხადებთ: საქართველო ერთხელ კიდევ გადარჩა!

„ხიდის" რედაქცია.

## თურქეთის საზოგადოებრიობა გმობს

### ზოგიერთი ამონაწერი დოკუმენტებიდან

### მიმომხილველთა აზრი

მადლობა ღმერთს, რომ შევარდნაძე გადარჩა, თორემ წარმოიდგინეთ, საქართველოში რა ქაოსი დატრიალდებოდა.

თურქეთის გაზეთები, II, 02, 97.

### ედუარდ შევარდნაძე საქართველოს მომავალს განასახიერებს

ვგმობთ საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიმართ 9 თებერვალს განხორციელებულ ტერორისტულ აქტს.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე თურქეთისათვის საქართველოს მომავალს განასახიერებს. იგი თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის გაღრმავებისა და მთელი კავკასიის რეგიონში მრავალმხრივი თანამშრომლობის დამკვიდრებისათვის მებრძოლ პიროვნებას წარმოადგენს.

თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებიდან.

Sayın Eduard ŞEVARDNADZE
Gürcistan Cumhurbaşkanı

Zat-ı Alilerini hedef alan menfur saldırıyı büyük bir üzüntüyle öğrenmiş bulunmaktayım.

Terorizme karşı mücadele uluslararası toplum arasında dayanışma ve işbirliğini gerektirmektedir. Özellikle bölgemizi istikrarsızlığa sürüklemeyi amaçlayan terör faaliyetlerine karşı ortak bir mücadele vermemiz gerektiğine yürekten inanmaktayım.

Zat-ı Alilerine ve saldırıda yaralananlara geçmiş olsun dileklerimi iletir, hayatını yitirenlerin kederli ailelerine taziyelerimi sunarım.

Süleyman DEMİREL
Türkiye Cumhurbaşkanı

Sayın Eduard ŞEVARDNADZE
Gürcistan Cumhurbaşkanı

Zat-ı Alilerini hedef alan menfur saldırıyı büyük bir üzüntüyle öğrenmiş bulunmaktayım.

Zat-ı Alilerinin dirayetli liderliğinde Gürcistan'ın barış ve istikrar sağlama yönündeki olumlu gelişimini hedef alan bu tür eylemlerin amacına ulaşamayacağına olan inancım tamdır.

Zat-ı Alilerine ve saldırıda yaralananlara geçmiş olsun dileklerimi iletir, hayatını yitirenlerin kederli ailelerine taziyelerimi sunarım.

Mesut YILMAZ
Türkiye Cumhuriyeti
Başbakanı

## თანადგომა

# მხარდაჭერის ვიზიტი



რეფაიდინ შაჰინი.

9 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებულმა თავდასხმამ თურქეთის რესპუბლიკაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. 10 თებერვალს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ტელეფონით დაუკავშირდა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი, რომელმაც აღშფოთება გამოთქვა საქართველოს პრეზიდენტზე შეიარაღებული თავდასხმის გამო, მიულოცა მშვიდობით გადარჩენა და სამძიმარი გადასცა დაცვის ორი მუშაკის დაღუპვის გამო.

იმავე დღეს საქართველოს პრეზიდენტის სახელზე მოვიდა თურქეთის პრეზიდენტის სულეიმან დემირელის, პრემიერ-მინისტრის მესუთ ილმაზის, დიდი ეროვნული კრების (მეჯლისის) თავმჯდომარის ჰიქმეთ ჩეთინის, საგარეო საქმეთა მინისტრის ისმაილ ჯემის, სახელმწიფო მინისტრის რეფაიდინ შაჰინის (ლორთქიფანიძე), დემოკრატიული თურქეთის პარტიის გენერალური თავმჯდომარის ჰუსამეთინ ჯინდორუქისა და სხვა ხელმძღვანელების დეპეშები.

მეჯლისის დეპუტატებმა გადაწყვიტეს თბილისში გამომგზავრება, რათა პირადად გამოეხატათ თანადგომა და მხარდაჭერა საქართველოს პრეზიდენტისადმი.

17 თებერვალს თურქეთის მეჯლისის დეპუტატების დელეგაცია სახელმწიფო მინისტრის რეფაიდინ შაჰინის მეთაურობით რამდენიმე საათით თბილისს ეწვია.

დელეგაციის ხელმძღვანელთან, რეფაიდინ შაჰინთან საუბარი ვერ მოვახერხეთ. სამაგიეროდ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე შოთა დოლონაძე „მოვიხელთეთ", რომელიც დელეგაციას დახვდა, ბოლომდე მასთან იყო და ვთხოვეთ მოეთხრო ამ ვიზიტის თაობაზე.

იხ. მე-6 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 46, ოთხშაბათი, 25 თებერვალი, 1998 წელი

# საქართველო გადარჩა!

Sayın Eduard ŞEVARDNADZE
Gürcistan Cumhurbaşkanı

Zat-ı Ailelerini hedef alan menfur saldırıyı büyük bir üzüntüyle öğrenmiş bulunmaktayım.

Gürcistan'ın istikrarına ve bölgenin huzuruna yöneltilen bir tehdit olarak değerlendirdiğim bu saldırıyı nefretle kınıyorum. Saldırıdan yara almadan kurtulmuş olmanızın, Gürcistan'ın geleceği, Türkiye-Gürcistan ilişkilerinin liderliğinizde giderek daha da güçlenmesi ve bölgemizdeki çok boyutlu işbirliği açısından bizi fevkalade mutlu kıldığını özellikle belirtmek isterim.

Zat-ı Alilerine ve saldırıda yaralananlara geçmiş olsun dileklerimi iletir, bu olayda hayatını yitirenlerin kederli ailelerine taziyelerimi sunarım.

En derin ve samimi saygı ve sevgilerimin kabulünü istirham ederim.

Hikmet ÇETİN
Türkiye Büyük Millet
Meclisi Başkanı

## მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ძალზედ შემაწუხა თქვენს აღმატებულებაზე განხორციელებულმა შემაშფოთებელმა აქტმა.

ყველასათვის ცნობილია ის დიდი მნიშვნელობა, რაც ენიჭება თქვენს მიერ გაწეულ და მომავალშიც განსახორციელებელ მუშაობას მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად.

პირადად ჩემი და ჩემს მიერ წარმოდგენილი პარტიის სახელით გიცხადებთ გულითად თანადგომასა და გამოვხატავ თქვენდამი უღრმეს პატივისცემასა და სიყვარულს.

**ჰუსამეთინ ჯინდორუქი,**
*დემოკრატიული თურქეთის პარტიის თავმჯდომარე.*

თანადგომა

## მხარდაჭერის ვიზიტი

**გთავაზობთ ბატონ შოთა დოლიძის მონათხრობს.**



თურქეთის საპარლამენტო დელეგაცია, რომელიც სახელმწიფო მინისტრის რეფაიდინ შაჰინის მეთაურობით ჩამოვიდა, მეჯლისში არჩეული თითქმის ყველა პარტიის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. მათ ჩამოსვლას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა. გამოეცხადებინათ თურქეთის საზოგადოებრიობის თანადგომა და მხარდაჭერა საქართველოს პრეზიდენტისადმი და გადაეცათ მისთვის თურქეთის პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, მეჯლისის თავმჯდომარის, ყველა პარტიის ხელმძღვანელების აღშფოთება მის მიმართ განხორციელებული ტერორისტული აქტის გამო.

ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრისას თურქეთის მეჯლისის დელეგაციის ხელმძღვანელმა რეფაიდინ შაჰინმა განაცხადა, რომ მთელი თურქეთი შეაძრწუნა საქართველოს პრეზიდენტზე შეიარაღებულმა თავდასხმამ. მიაჩნიათ, რომ ეს იყო მშვიდობისა და სტაბილურობის მტრების ვერაგული მცდელობა მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკოსის, თურქეთის დიდი მეგობრის მიმართ. ტერორისტული აქტი თურქეთში აღიქმება, როგორც საკუთარ პრეზიდენტზე თავდასხმა და საყოველთაო დაგმობას იმსახურებს.

რეფაიდინ შაჰინმა საქართველოს პრეზიდენტს მოახსენა საქართველოში გამომგზავრების წინ ქართულ და აფხაზურ დიასპორასთან შეხვედრის შედეგები, აღნიშნა, რომ ისინი მხარს უჭერენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების ინტერნაციონალიზაციას, არძინბასთან და სხვა ხელმძღვანელებთან საქართველოს პრეზიდენტის დიალოგს.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გულწრფელი მადლობა მოახსენა თურქეთის პრეზიდენტს, მეჯლისის დეპუტატებს თანადგომისათვის, აღნიშნა, რომ ესოდენ წარმომადგენლობითი დელეგაციის სტუმრობა საყოველთაო მხარდაჭერის თვალსაჩინო მაგალითია. ამ მოკლე ხანში ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის დამკვიდრებისათვის. ვამაყობ, რომ გვყავს ასეთი კეთილი მეზობელი, რომელსაც სათავეში უდგას ჩემი მეგობარი სულეიმან დემირელი. ჩვენ გულწრფელი მეგობრობა გვაკავშირებს მეჯლისის თავმჯდომარესთან ჰიქმეთ ჩეთინთან. ამჟამად ვემზადებით, რათა ღირსეულად მივილოთ თურქეთის პრემიერ-მინისტრი მესუთ ილმაზი. ვიმედოვნებთ, ამ ვიზიტის დროს საფუძველი ჩაეყრება მრავალი ეკონომიკური პროექტის რეალიზაციას.

ჩვენი ქვეყნების ინტერესები აბსოლუტურად თანხვედრია ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედებაში, აგრეთვე, კასპიის ენერგორესურსების ტრანსპორტირების სფეროებში.

საქართველოს პრეზიდენტმა ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლობა თურქეთის მეჯლისის დელეგაციას თანადგომისა და მხარდაჭერისათვის.

დასასრული. დასაწყისი იხ. მეხუთე გვერდზე.

### TIFLIS DEVLET ÜNIVERSITESI - 80

7 Şubat'ta Gürcistan Cumhurbaşkanı Eduard Shevardnadze'nin başkanlığında Ivane Cavahişvili Devlet Üniversitesi Jübile Komisyonunun toplantısı düzenlendi.

Toplantıda katılımcılar Tiflis Devlet Üniversitesinin sekseninci yıldönümü dolayısıyla hazırlıklara ilişkin Prof. Dr. Roin Metreveli'nin raporunu dinlediler. TDÜ'nün sekseninci yıldönümü 22-25 Mayıs tarihlerinde kutlanacaktır.

Gürcistan Cumhurbaşkanı konuşmasında Tiflis Devlet Üniversitesi'nin her zaman ulusun maneviyatını kurtarma bekçisi olduğunu belirtti.

Cumhurbaşkanı Uluslararası düzeyde düzenlenecek jubile günlerinde yeni devletin kuruluş koşullarında eğitim sisteminde yapılmış reformların ve özellikle onun sancısız karekterinin açıkca gösterilmesine önem verdi.

Cumhurbaşkanı bilim düzeyinde Kafkasya sorununun tartışılması fikrini destekleyip gelecek bayramları Aziz Kral Davit Ağmaşenebeli gününü ve Üniversitenin sekseninci yıldönümünü kutlayarak Tiflis Devlet Üniversitesi'nin temsilcilerine başarılar diledi.

Sayın Eduard ŞEVARDNADZE
Gürcistan Cumhurbaşkanı

Zat-ı Ailelerini hedef alan menfur saldırıyı büyük bir üzüntüyle öğrenmiş bulunmaktayım.

Gürcistan'da ve bölgemizde istikrarsızlık yaratılmasını hedefleyen bu terorist saldırıyı nefretle kınıyorum.

Zat-ı Alilerine ve saldırıda yaralananlara geçmiş olsun dileklerimi iletir, hayatını yitirenlerin kederli ailelerine taziyetlerimi sunarım.

İsmail CEM
Türkiye Cumhuriyeti
Dışişleri Bakanı

**კონტაქტები**

# საქართველო-თურქეთის პირველი სრულმასშტაბიანი ხელშეკრულების 5 წელი

## 2. შავიზღვისპირა ქვეყნების თანამშრომლობა

1993 წლის 16-18 ივნისის პლენარული სხდომის შემდეგ საქართველოს დელეგაცია მიიღო თურქეთის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იგი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, მისი საზღვრების ურღვევობის მომხრეა. ბატონმა დემირელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდად აფასებს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, როგორც მეოცე საუკუნის ერთ-ერთ თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეს და მიაჩნია, რომ უნდა გამოიყენონ მისი საერთაშორისო ავტორიტეტი რეგიონული პრობლემების გადაწყვეტის, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკაში ინვესტიციების დაბანდებისათვის.

შავიზღვისპირა ქვეყნების, საქართველოს და თურქეთის საქმიანი წრეების შეხვედრები თანდათანობით ინტენსიურ ხასიათს იძენდა. 1993 წლის მარტში ანკარაში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოსა და თურქეთის კონტროლის პალატების დელეგაციები;

ამავე თვის ბოლოს საქართველოს წარგზავნილები ეკონომიკური ინფორმაციის დარგში მონაწილეობდნენ ათენში შავი ზღვის აუზის ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრაში, რომელიც ინფორმაციების ურთიერთგაცვლის საკითხებს მიეძღვნა.

აპრილში ანკარაში გაიმართა **ბისეკის** წევრი ქვეყნების დედაქალაქების მერების შეხვედრა. შეხვედრაზე საფუძველი ჩაეყარა თბილისისა და ანკარის მჭიდრო მეგობრული კავშირის პერსპექტივას, რომელიც შესაბამისი ხელშეკრულებით უფრო გვიან, 1997 წელს გაფორმდა.

ამავე თვეში სტამბოლში გაიმართა ამ ქვეყნების წარმომადგენელთა სიმპოზიუმი „შავი ზღვის ნავთობი და გაზი, სამომავლო პერსპექტივები". ორი ქვეყნების სპეციალისტებმა მოამზადეს თურქეთ-საქართველოს მომიჯნავე ტერიტორიების გეოლოგიური შესწავლისა და მინერალური რესურსების კვლევაძიების პროგრამები.

1992 წელს ბათუმში გამართული შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემებისადმი მიძღვნილი მწვანეთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე წამოყენებული წინადადების შესაბამისად თურქეთში გამოვიდა თურქულ-ქართულ-ინგლისურ-გერმანული ჟურნალი „მწვანე სამყარო" და ა. შ.

1993 წლის 16-18 სექტემბერს სტამბოლში გაიმართა ნატოს ასამბლეის და შავი ზღვის აუზის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის გაერთიანებული სემინარი. მასში მონაწილეობდნენ 50 სახელმწიფოს, მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა წარმომადგენლები.

სემინარზე სიტყვები წარმოთქვეს თურქეთის პრემიერ-მინისტრმა თანსუ ჩილერმა, თურქეთის დიდი ეროვნული კრების (მეჯლისის) თავმჯდომარემ და შავიზღვისპირეთის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ ჰუსამეთინ ჯინდორუქმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰიქმეთ ჩეთინმა და სხვებმა. საქართველოს დელეგაციის სახელით გამოვიდა ზურაბ ანდრიაძე. სიტყვებსა და მოხსენებებში საუბარი იყო შავი ზღვის აუზისა და ევროპის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის, ეკონომიკური რეფორმების უსაფრთხოებისა და სტაბილიზაციის, დემოკრატიზაციის პროცესის მიმდინარეობის, ცალკეული ქვეყნების ინტეგრაციულ და რეგიონულ თანამშრომლობაში მონაწილეობასა და სხვა საკითხებზე. სემინარის მონაწილეებმა მიიღეს განცხადება, რომელშიც გამოხატულია დიდი შეშფოთება აფხაზ სეპარატისტთა მიერ სოჭის 1993 წლის 27 ივლისის ხელშეკრულების დარღვევის გამო. სემინარის მონაწილეთა სახელით განცხადებას ხელი მოაწერა ჩრდილოეთ ატლანტიკის ასამბლეის პრეზიდენტმა ლუის ბიუვარმა.

სამწუხაროდ, სემინარის მონაწილეთა ეს განცხადება არად ჩააგდეს აფხაზმა სეპარატისტებმა, რომლებიც რუსეთის გარკვეული ძალების ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით მოქმედებდნენ. სოხუმზე შეტევა გრძელდებოდა, 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა.

ჩვენს ქვეყანაში უმძიმესი ვითარება შეიქმნა. მიუხედავად ამისა, **ბისეკში** — თანამშრომლობის სტრატეგიული ხაზი კვლავ გაგრძელდა. საქართველო კვლავ აქტიურად მონაწილეობს შავი ზღვის აუზის ქვეყნების ყველა ღონისძიებაში.

1993 წლის ნოემბერ-დეკემბერში კიევში გაიმართა შავი ზღვის აუზის ქვეყნების საპარლამენტთაშორისო ასამბლეის მეორე პლენარული სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს დელეგაცია პარლამენტის სპიკერის ვახტანგ გოგუაძის მეთაურობით.

სესიაზე განიხილეს შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის თანამშრომლობისა და კავშირურთიერთობის გაფართოების პრობლემები. ასამბლეის მუშაობის პრაქტიკაში პირველად გაანალიზდა შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა.

სესიაზე იმსჯელეს სამართლებრივ, პოლიტიკურ და კულტურის საკითხებზე, დაამტკიცეს 1994 წლის ბიუჯეტი. სესიამ გადაწყვიტა, რომ ასამბლეის მომავალი სესია 1994 წლის ივნისში, რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გამართულიყო.

საქართველოს დელეგაცია მიიღო უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა და უკრაინის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ივანე პლიუშჩმა.

საქართველოს პარლამენტის სპიკერმა უკრაინის პრეზიდენტს გადასცა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის დიდი მადლობა იმ დახმარებისათვის, რომელიც უკრაინამ საქართველოს გაუწია აფხაზეთიდან დევნილი ქართული მოსახლეობის კოდორის ხეობიდან გამოსაყვანად ვერტმფრენების დიდი ბრიგადის გაგზავნითა და საერთოდ დიდი თანადგომისათვის.

საქართველოს დელეგაცია შეხვდა სესიის მუშაობაში მონაწილე ქვეყნების მეთაურებსა და წარმომადგენლებს, გამართა რამდენიმე პრესკონფერენცია.

5 თვის შემდეგ, 1994 წლის 16-17 მაისს უკვე თბილისში გაიმართა შავიზღვისპირა ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ჰუსამეთინ ჯინდორუქი.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

სხდომა დიდი წარმატებით წარიმართა, რაც ერთხმად აღნიშნეს თურქეთისა და სხვა ქვეყნების საინფორმაციო საშუალებებმა. მათი საერთო შეფასებით თბილისში შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შავი ზღვის რეგიონში მშვიდობის განმტკიცებისა და აუზის სახელმწიფოთა ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის გაფართოებისათვის.

ამასთან, თურქეთის ტელევიზიის, პრესის მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავდნენ თურქეთის პარლამენტის თავმჯდომარის ჰუსამეთინ ჯინდორუქისა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრების განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

18 მაისს თურქეთის დელეგაცია ანკარაში დაბრუნდა. აეროპორტში ჟურნალისტებთან შეხვედრისას თურქეთის პარლამენტის თავმჯდომარემ დადებითი შეფასება მისცა საქართველოში გამართულ შეხვედრებს. მან განაცხადა, რომ შავიზღვისპირეთის ქვეყნების ეკონომიკურმა კავშირმა უკვე გამოიღო თავისი დადებითი შედეგები. წინ გვიდევს ურთიერთობის ფართო პროგრამა, რომელიც სასარგებლოა ამ აუზის ყველა ქვეყნისათვის, თბილისში წამოყენებული წინადადებები დიდ როლს შეასრულებს სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის მოწესრიგებაში, ხელს შეუწყობს რეგიონული კონფლიქტების მოგვარების საქმესაც. საქართველო თურქეთის ყველაზე საიმედო მეზობელია აღმოსავლეთში, — დასძინა მან.

შავიზღვისპირა ქვეყნების შესაბამისი სამსახურები ინტენსიურ საქმიანობას განაგრძობდნენ. 21-22 ივნისს თბილისის მაისის სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გაიმართა შავი ზღვის აუზის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის სხდომა. საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე. სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე. შეხვედრების დროს საპარლამენტო ასამბლეის წევრებმა წამოაყენეს მთელი რიგი კონკრეტული წინადადებები, რომლებიც მიზნად ისახავდა შავი ზღვის აუზის ქვეყნებისა და მათი საპარლამენტო კავშირების განმტკიცება-გაფართოებას.

ახლოვდებოდა შავიზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის **(ბისეკის)** შექმნის ორი წლისთავი. **ბისეკის** წევრი ქვეყნების შესაბამისი სტრუქტურები აქტიურად მუშაობდნენ ამ შეხვედრის მომზადებისათვის, რომელიც თბილისში უნდა გამართულიყო.

წინასწარი აზრთა გაზიარების შედეგად გადაწყდა, რომ თბილისის შეხვედრაზე განეხილათ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების, ტურიზმის, ტრანსპორტის და ენერგეტიკის სფეროებში თანამშრომლობის, შავი ზღვის ქვეყნების ვაჭრობისა და განვითარების ბანკის დაარსების, **ბისეკის** და შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის შორის ურთიერთობის, **ბისეკის** წევრ ქვეყნებზე დახმარების გაწევისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

დანიშნულ დროს, 30 ივნისს, თბილისში, სასტუმრო „მეტეხის" საკონფერენციო დარბაზში გაიხსნა **ბისეკის** წევრების საგარეო საქმეთა მინისტრების მეოთხე შეხვედრა. მასში მონაწილეობდნენ ალბანეთის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, საქართველოს, თურქეთის, მოლდოვას, რუმინეთის, რუსეთის ფედერაციის, საბერძნეთის, სომხეთის, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრები. მეთვალყურეთა სახით მონაწილეობდნენ ეგვიპტის, ისრაელის, პოლონეთის, სლოვაკიის, ტუნისის, აგრეთვე იმ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომლებსაც აქვთ მეთვალყურის სტატუსი შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკურ თანამშრომლობაში (შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საბჭო, საერთაშორისო შავი ზღვის კლუბი, შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეის საერთაშორისო სამდივნო).

შეხვედრა გახსნა შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ. მან სიტყვა მისცა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თავის გამოსვლაში დააყენა უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხები: სხვადასხვა რეგიონულ გაერთიანებებთან საერთაშორისო თანამშრომლობის პერსპექტივის, ევრაზიის დერეფნის იდეის ეტაპობრივი რეალიზაციის, ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა და კასპიის ზღვის ღერძის, სარეგიონთაშორისო ინტეგრაციული კავშირების განვითარების ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებთან კავშირში საერთო პოლიტიკური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პრობლემების განხილვის აუცილებლობის შესახებ და სხვ. ედუარდ შევარდნაძის სიტყვამ დამსწრეთა უდიდესი მოწონება დაიმსახურა.

დღის მეორე ნახევარში შეხვედრის მონაწილეებს შეუერთდა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრია კოზირევი, რომელიც შეხვდა და ესაუბრა ედუარდ შევარდნაძეს.

თბილისის შეხვედრის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას შავიზღვისპირა ქვეყნების ვაჭრობისა და განვითარების ბანკის შექმნის შესახებ, გადაწყვიტეს ენერგეტიკის სამუშაო ჯგუფის, აგრეთვე, ტურიზმის, მეცნიერებისა და ტექნიკის სამუშაო ჯგუფების შექმნა, განისაზღვრა მონაწილე მხარეთა წილი **ბისეკის** მუდმივ საერთაშორისო სამდივნოს ბიუჯეტში.

გადაწყდა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების გაზაფხულის შეხვედრა გაიმართოს აპრილის მეორე ნახევარში, შემოდგომის სესია კი ოქტომბრის დამლევს, შავიზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის თავმჯდომარის უფლებამოსილება როტაციის საფუძველზე გადაეცეს წელიწადში ორჯერ, შეხვედრის მოწყობის ვადების მიხედვით. ამის შესაბამისად ბატონმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ **ბისეკის** საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება გადასცა საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრს კარლოს პაპულიასს.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტებს შთაბეჭდილებები გაუზიარეს მასპინძლებმა და სტუმრებმა.

**ედუარდ შევარდნაძე:** შავიზღვისპირეთის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი ჩვენს ქვეყანაში დაწყებულ სტაბილიზაციაზე მიუთითებს. შეხვედრა შედეგიანი იყო. ვაჭრობისა და განვითარების ბანკის შექმნა შავიზღვისპირეთის ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანების ბერკეტი გახდება და ხელს შეუწყობს საბაზრო ურთიერთობის მექანიზმების სწრაფად ამოქმედებას.

**ჰიქმეთ ჩეთინი** — თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი: **ბისეკი** დიდი პერსპექტივების ორგანიზაციაა, რაც ერთხელ კიდევ დაამტკიცა თბილისში საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრამ. მრავლისმეტყველია ის, რომ შეიქმნა შავიზღვისპირეთის გაერთიანების საერთაშორისო სამდივნო და საპარლამენტო ასამბლეა.

**ანდრია კოზირევი** — რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი: ეს შეხვედრა კიდევ ერთი ნაბიჯია შავიზღვისპირეთის ქვეყნების თანამშრომლობის განვითარებაში. ჩემი აზრით, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ იგი სწორედ თბილისში გაიმართა. ეს თავისთავად მოწმობს საქართველოსა და მისი ხელმძღვანელობის პოზიციის საერთაშორისო აღიარებას. იგი სტაბილიზაციის კიდევ ერთი დასტურია.

**აბესალომ იმედაშვილი.**

(გაგრძელება იქნება).




გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" №261, 303, 321 (1997), №23 (1998), დამატება „ხიდი", №9, 10, 11.

მომსახურება

# როცა ძველმა ფუნქცია დაკარგა, ახალი კი იქმნება...

ადრე, მოგეხსენებათ, თითოეული ჩვენგანი, სახლში რაიმე წვრილმანის დაზიანების შემთხვევაში, დახმარებისათვის საბინაო-საექსპლუატაციო უბანს მივმართავდით და თანადგომაც გარანტირებული გვქონდა. შემდეგ კი...
ცხოვრების დონის დაქვეითებასთან ერთად მათი შესაძლებლობებიც შაგრენის ტყავივით დაილია. ქესატად დარჩენილ მოსახლეობასაც ხშირად რაიმე დაზიანების აღმოფხვრის კი არა, თვით ბინის ქირის გადახდის შესაძლებლობაც კი აღარ ჰქონდა.
საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიმდინარე გარდაქმნები საბინაო უწყებასაც შეეხო. დღეს ყველას აინტერესებს, თუ რა სისტემით განხორციელდება მობინადრეთა ურთიერთობა ახლადშექმნილ სერვისულ ცენტრებთან, რომლებიც, რასაკვირველია, ფულის გაულებლად, ძველებურად აღარ მოგვემსახურება.
გვიპასუხებს ქალაქის საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსი ოთარ ჟიპაშვილი.

*— რამ განაპირობა, ბატონო ოთარ, რეფორმა ქალაქის საბინაო სისტემაში?*
— ცვლილებები საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა პროცესებმა განაპირობა. ადრე ძირფესვიანად შეიცვალა სახელმწიფოსა და მესაკუთრის ურთიერთდამოკიდებულება.
სახელმწიფო საბინაო ფონდის პრივატიზაციამ ქვეყანაში წარმოშვა მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ბინის მესაკუთრეთა დიდი ფენა. დღის წესრიგში დადგა მათი თანაცხოვრების წესების შემუშავების აუცილებლობა და მესაკუთრეთათვის ბინებზე მეურვეობის გადაცემა. რეფორმის აუცილებლობაც სწორედ ამ პროცესებმა განაპირობეს.
ახალი ურთიერთობები სამოქალაქო კოდექსით წესრიგდება. კოდექსის მეოთხე თავი მთლიანად მიძღვნილია მრავალბინიან სახლებში ბინის საკუთრების და მესაკუთრეთა ურთიერთობის საკითხებისადმი. მასში ჩამოყალიბებულია მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ბინის მესაკუთრეთა თანაცხოვრების სრულიად ახალი წესები, რომელიც დაფუძნებულია მათში მესაკუთრის უფლებისა და მოვალეობების მაქსიმალურად გამოყენების პრინციპებზე.
*— რა სამსახური შეცვლის საბინაო-საექსპლუატაციო უბნებს ან ვის დაეკისრება მისი ფუნქციები?*
— საბინაო-საექსპლუატაციო უბნების ნაცვლად, რომლებიც ადრე სახლების ექსპლუატაციის სამუშაოებს ასრულებდა, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების შექმნა. ისინი თვითონვე შეადგენენ სახლების მოვლის, მომსახურების და ექსპლუატაციის სამეურნეო გეგმებს, კოდექსით დადგენილი წესით განსაზღვრავენ თითოეული მესაკუთრის წილობრივ მონაწილეობას გეგმის შესრულების დაფინანსებაში და თვითონვე იზრუნებენ ამ გეგმის განხორციელებაზე — სახელშეკრულებო პრინციპით შეარჩევენ გეგმით გათვალისწინებული მომსახურების თუ სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოების შემსრულებლებს.
ფაქტობრივად, ეს გახლავთ ბინის მესაკუთრეთა მიერ საკუთარი სახლის მოვლა-პატრონობის საკუთარ ხელში აღება.
*— როგორ გესახებათ მომსახურების ცენტრების მომავალი და მოსახლეობასთან მათი ურთიერთობა?*
— ბუნებრივია, ისმის კითხვა, რა ბედი ეწევათ საბინაო-საექსპლუატაციო უბნებს, ე. წ. სახლმმართველობებს და ამ სამსახურში დასაქმებულ პერსონალს.
რეფორმა ითვალისწინებს ამ სამსახურის გარდაქმნას მოსახლეობის სერვისული მომსახურების ცენტრებად. ეს ცენტრები მობინადრეთა ამხანაგობებს ან ბინის მესაკუთრეებს მოემსახურებიან სახელშეკრულებო პრინციპებით მომსახურების ყველანაირი ფორმით, რომელზეც მოთხოვნილება იქნება და რომელთა დანერგვასაც თვით ეს ცენტრები შეძლებენ.
ასე რომ, იქ სადაც სწორად გაიაზრებენ საბაზრო პრინციპებით მომსახურების არსს, მომხმარებელს მესთავაზებენ მართლაც მრავალდარგოვან, მრავალხარისხიან და მისაღები ფასებით მომსახურებას. სამუშაო ადგილები კი არ უნდა შემცირდეს, პირიქით, ალბათ, უნდა გაიზარდოს კიდეც. ბუნებრივია, იქნება ისეთი შემთხვევებიც, როცა ესა თუ ის მომსახურების ცენტრი ვერ გაუძლებს კონკურენციას და შესაძლოა დაიშალოს კიდეც. რას იზამ, ასეთია საბაზრო ეკონომიკის უმკაცრესი პრინციპი.
*— იმათ, ვინც ხელმოკლეობის გამო ვერ მოახერხა პრივატიზებული ბინის დავალიანების გადახდა, ჩამოაწერენ თუ არა დავალიანებას?*
— ალბათ, მხედველობაში გაქვთ ადრე არსებული გადასახადი საბინაო მომსახურებისათვის. იგი შეადგენდა ერთი კვადრატული მეტრი დაკავებული ფართობიდან 3 თეთრს.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 1998 წლის 30 იანვრის № 17 განკარგულებით, აღნიშნული გადასახადი მ. წ. 1 იანვრიდან გაუქმებულია, ხოლო საქალაქო მეურნეობის რაიონულ სამმართველოებს ჩამოეწერათ ამ სახის გადასახადის დავალიანება. ეს ნიშნავს, რომ მობინადრეები, ვისაც ჰქონდა საბინაო მომსახურების გადასახადის დავალიანება — თავისუფლდებიან მისი გადასახადისაგან.
*— ვინ გააფორმებს ხელშეკრულებებს საიჯარო წესით გაფორმებულ ობიექტებთან?*
— არასაცხოვრებელ ფართობებზე საიჯარო ხელშეკრულებების გაფორმების წესი შესაბამისი კანონით განსაზღვრულია და მას აფორმებენ ქონების მართვის სამინისტროს ადგილობრივი ორგანოები. სხვა საკითხია შემოსული საიჯარო ქირის გამოყენება. ჩემი აზრით, ეს თანხა შესაბამისი რაიონების ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთი წყარო უნდა იყოს.
*— როდისთვის უნდა დამთავრდეს ეს რეფორმა?*
— რეფორმა ჯერ კიდევ სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე დაიწყო, თუ როდის დამთავრდება კონკრეტულად, ეს დღეს ძნელი სათქმელია. ეს დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე. კოდექსი ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრის ურთიერთობის საკითხებს აწესრიგებს და მისი წარმატებით ბოლომდე განხორციელება დამოკიდებულია საზოგადოების თითოეული წევრის მხრივ ამ საკითხებისადმი დამოკიდებულებაზე.
ბუნებრივია, წარმოიშვება საკითხები, რომლებიც გარდამავალი ეტაპისთვის არის დამახასიათებელი. როგორც ბინების მესაკუთრეთა ამხანაგობების, ისე სერვისული მომსახურების ცენტრების ჩამოყალიბებას გარკვეული დრო დასჭირდება. ეს პროცესი ყველგან ერთნაირი ტემპით ვერ წარიმართება და, ალბათ, საჭირო შეიქმნება შესაბამისი გარდამავალი ნორმატიული აქტების შემუშავებაც. ამას ყველაფერს ცხოვრება გვიჩვენებს.
*— იმათ, ვინც ვერ მოასწრო საბინაო ფონდის პრივატიზება, ვის უნდა მიმართონ დახმარებისათვის რეფორმის შემდეგ?*
— აღნიშნული საკითხი, როგორც მომსახურების ერთ-ერთი ფორმა, სავსებით შესაძლებელია თავის ხელში აიღოს სერვისული მომსახურების ცენტრმა, თუ ასეთ სურვილს მობინადრე გამოთქვას.
*— ბინაში წვრილმანი დაზიანების დროს ვინ გაუწევს დახმარებას მობინადრეებს?*
— ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა. თუ იგი დარწმუნდება, რომ სერვისული მომსახურების ცენტრში მას ემსახურებიან მაღალხარისხიანად, ოპერატიულად და ამავე დროს მისაღებ ფასებში, — რატომ უნდა ეძებოს შემთხვევითი შემსრულებელი ქუჩაში?
*— რეფორმების საფუძველზე რა მოვალეობა ეკისრებათ სერვისული მომსახურების ცენტრებს?*
— როგორც აღვნიშნე, მომსახურების ცენტრი დამკვეთს მოემსახურება სახელშეკრულებო პრინციპებით, მისთვის საჭირო ყველა სახის მომსახურებით.
*— როცა ბინის კერძო მესაკუთრეს დასჭირდება მისი ამა თუ იმ ადგილზე ცხოვრების (ბინადრობის) დამადასტურებელი ცნობა (თუ დოკუმენტი), ვის უნდა მიმართოს? ვინ არის უფლებამოსილი გასცეს ასეთი ცნობა (ან დოკუმენტი)?*
— საქართველოში ჩაწერის ინსტიტუტის გაუქმების და „საქართველოს მოქალაქეობისა და საქართველოში მცხოვრები უცხოელების რეგისტრაციისა და სულადობის დადასტურების წესის შესახებ“ 1996 წლის 27 ივნისის საქართველოს რესპუბლიკის კანონის ძალაში შესვლის შემდგომ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ითვლება მისი პიროვნების ერთადერთ დამადასტურებელ საბუთად და თუ რომელიმე ორგანოს დააინტერესებს მისი ბინადრობის ადგილი, ეს დოკუმენტი უნდა მოიძიოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ სამსახურში, რომელიც ახდენს მოქალაქეთა რეგისტრაციას.
*— პრივატიზებული (ანუ საკუთარი) ბინების მესაკუთრეებს აინტერესებთ, რა მოვალეობა აკისრიათ მათ სახელმწიფოს წინაშე? კერძოდ, რა მომსახურებისათვის უნდა გადაიხადონ მათ ესა თუ ის თანხა?*
— როგორც მოგახსენეთ, ბინების მესაკუთრეთა ამხანაგობა თვითონ ადგენს სახლის მოვლის, ექსპლუატაციისა და მომსახურების სამეურნეო გეგმებს და თვითონვე განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული წესით თითოეული ბინის მესაკუთრის წილობრივ მონაწილეობას ამ გეგმის განხორციელების საქმეში.
ბინის მესაკუთრე ვალდებულია გადაიხადოს თავისი წილი სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების დასაფინანსებლად. თანხის ოდენობა გამოიკვეთება ყოველი კონკრეტული გეგმის შედგენის შემდეგ, იმის გათვალისწინებით, თუ რა მოცულობის მომსახურების, ექსპლუატაციის ან სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ითვალისწინებს ეს გეგმა.
რაც შეეხება კომუნალური მომსახურების გადასახადებს — წყალი, ელექტროენერგია, გაზი, ლიფტის მომსახურება, გათბობა და ცხელი წყალი (თუკი ასეთი არსებობს), იგი, როგორც წინათ, დაწესებული ტარიფების მიხედვით ეკისრებათ მობინადრეებს და მათი გადახდა კვლავაც განხორციელდება მოხმარებული ოდენობის შესაბამისად.

ესაუბრა
**თეიმურაზ ქინწურაშვილი.**

სასამართლო

# მე „დღესაც მხედრიონელი ვარ!“

— განვემარტეთ, — ახლა მოსამართლე ჯემალ ლეონიძემ მიმართა განსასჯელს.
— ამასაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ განგიმარტავთ! — იყო პასუხი...
შემდეგი ნიკოლოზ გედევანიშვილი გახლავთ. მას ბრალად ედება პოლიციის მუშაკის სიცოცხლის ხელყოფა, გია გულუას მკვლელობაში მონაწილეობა, ადამიანის მძევლად აყვანა... იგი პროფესიით სამხედრო პირია, უმსახურია რუსეთში, პაერსაწინააღმდეგო დაცვის სპეცნაწილში.
უცებ ჯემალ ლეონიძემ ჰკითხა:
— რომელიმე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურშიც ხომ არ ყოფილხართ?
— დიახ, ვიყავი, — „მოსადში“.
დარბაზმა გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ ნიკოლოზ გედევანიშვილმა იფეთქა:
— რატომ მკითხეთ, ასეთი რამ სხვისთვის არ გიკითხავთ!
— ნუ ცხარობთ, — დაამშვიდა იგი მოსამართლემ, — ჩვენ გკითხეთ, თქვენ კი გვიპასუხეთ, — ჰო თუ არა?
— არა!
თუ ნიკოლოზ გედევანიშვილის ადრინდელ მონაცემებსა და შესაძლებლობებს გადავხედავთ, იგი „მოსადშიც“ მშვენიერად იმსახურებდა და „ცერეუშიც“. აფხაზეთის ომში, მაგალითად, ერთი ოპერაცია ისე ოსტატურად ჩაუტარებია, რომ რამდენიმე კაცის სიცოცხლეც შეუნარჩუნებია და ვახტანგ გორგასლის ორდენიც დაუმსახურებია...
— ნასამართლობა თუ გაქვთ?
— დიახ, მაგრამ ტყუილად.
— რამდენი მოგისაჯეს?
— 4 წელი და 6 თვე.
— სულ მოიხადეთ?
— არა, ამნისტიამ მომისწრო...
„მხედრიონში“ თავიდანვე ყოფილა, ოფიციალურად კი 1992 წელს მისულა. პირადად ებარა ჯაბა იოსელიანის სიცოცხლე. ჩანს, თავისი მოვალეობა უნაკლოდ შეასრულა, რადგანაც შემდგომში მაშველთა კორპუსის ავტომეურნეობის დირექტორად დანიშნეს. იმ საკმაოდ გახმაურებულ სკანდალშიც მაშინ გაეხვია...
განსასჯელის განმარტებით, — ავტომეურნეობა ლიდ... ელიავას ქუჩაზე. იქ ახალთახალი „ბეტეერები“ ... დაცვას იარაღი არა ჰქონია და ამ „ბეტეერებისთვის“ აკუმულატორები და სხვა ნაწილები ამოუცლიათ. საბრძოლო ტექნიკის აღსადგენად 1200 დოლარი საკუთარი ჯიბიდან გაუღია.
ერთ მშვენიერ დღეს ავტომეურნეობიდან შინ დაურეკიათ, — სასწრაფოდ მოდი, აქ რაღაც ხდებაო. მისულა. ორი პიროვნება დახვედრია. ფარეხებს მიუყრდა ხლიდნენ და მიჰქონდათო. გავაფრთხილე, ერთი წავიდა, მეორემ კი გინება დამიწყო. უშერია თავისი „ჩზ-75“ და ჰაერში უსერია. ამ სროლაზე კიდევ მოსულა ორი უცხო პიროვნება. იარაღის წართმევა დამიპირეს, მერე ჩემი მოკვლაც სცადეს და მიუშვია ტყვია. ერთი მომკვდარა, ერთიც — დაჭრილა...
მეგახსენებთ, — დაილუპა დიღუბის პოლიციის მუშაკი თამაზ ჩუბინიძე, დაიჭრა ამავე პოლიციის მუშაკი ზურაბ ფერაძე. საბრალდებო დასკვნით, ისინი ნიკოლოზ გედევანიშვილთან მივიდნენ იარაღის გასარკვევად. მან კი ორივეს უხეშად მიმართა, ბოლოს კი ტყვიაც მიუშვა. მიზეზი? თქვენ ვინ ... „მხედრიონის“ ტერიტორია და რასაც მინდა იმას ვიზამო!
— ნამდვილი მხედრიონელი იყავით?
— დაინტერესდა მოსამართლე.
— ვიყავი და ახლაც ვარ! — არც დაფიქრდა განსასჯელი.
— 1994 წლის 18 აპრილს ვერტმფრენით ნუგზარ პაპლიაშვილთან ერთად ჭუბერის ხეობიდან რაიმე ოპერაციის ჩასატარებლად არ წამოსულხართ?
— არა!
— ორი დღის შემდეგ გია გულუას მკვლელობაში მონაწილეობა არ მიგიღიათ?
— არა!
— რა იცით საერთოდ ამ ტერაქტის შესახებ?
— არაფერი. რაღაც-რაღაცები ტელევიზიით გავიგე.
— ნუგზარ პაპლიაშვილს საიდან იცნობდით?
— სამხედრო სამსახურიდან. მე წამოვიყვანე რუსეთიდან. კარგი მსროლელი იყო, „სნაიპერას“ ამიტომ ეძახდნენ.
— სხვას ვის იცნობდით განსასჯელთაგან?
— ჯაბა იოსელიანს, გიგა გულაშვილს, თემურ ხაჩიშვილს, ზურაბ ქარსელაძეს...
— ქარსელაძესთან რა გაკავშირებდათ?
— ეგ იყო ჩვენი მამა-მარჩენალი. საჭმელი, სასმელი, ტანსაცმელი, იარაღი, ტექნიკა... ზურგის უფროსი გახლდათ, ყველაფერს ეგ განაგებდა...
სასამართლო პროცესზე ყველა განსასჯელი რაღაც-რაღაცას ბოლოსათვის ინახავს, ამბობს, ამას მერე გეტყვით; ამას შემდეგ მოგახსენებთო და ა.შ. ნიკოლოზ გედევანიშვილმა კი ჩვენების დაწყებამდე განაცხადა:
— თუ ჩემი ჩვენების შემდეგ ზეწოლა იქნება ჩემს ოჯახზე, პასუხს მთლიანად აგებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ასევე, — ახლავე იცოდეთ, რომ შემთხვევის ადგილებზე გაყვანისას მე ვიყავი ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, ეს იყო პირველად ჩემს ცხოვრებაში!
ამ განცხადებებს არ შეაშფოთებიათ არც სასამართლო კოლეგიის და არც პროკურატურის წარმომადგენლები. ალბათ, თქვეს, — ვნახოთ რას იტყვის „მოსადის“ მორეული უხილავი „აგენტიო“, მაგრამ...
დიდი არაფერი. ნიკოლოზ გედევანიშვილმა ისე სწრაფად ჩამოშარცხლა თავისი საჯარო ჩვენებები, რომ სასამართლო კოლეგიამ გუშინვე დაიწყო მისი წინასწარი ჩვენებების გამოქვეყნება.

**ბონდო გულიაშვილი.**

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ცხოვრების ჯანსაღი წესი





„ლაგუნა-ვერეში“ ჩვეულებრივი ფუსფუსია: ფოიეში მიმოდიან ზურგზე ჩანთამოკიდებული გოგო-ბიჭები. სათამაშოებთან ერთი ქრიამული უდგათ ყმაწვილებს. საცურაო აუზი წყალბურთელებს „დაუპყრიათ“ და კარებში ბურთებს უბათქუნებენ.
სატრენაჟორო დარბაზისკენ მივიკვლევ გზას. კიბის თავზე საცურაო კომპლექსის სპორტის, ათლეტიზმისა და შეიპინგის სექტორის უფროსი **ელზა შიხაშვილი** მხვდება. სიამოვნებით მიწევს მეგზურობას.
— ორი სატრენაჟორო დარბაზი გვაქვს, — მიხსნის ქალბატონი ელზა, — კაცებისა და ქალებისთვის. ამჟამად აქ გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით 250-მდე ადამიანი ვარჯიშობს. მეცადინეობები ტარდება ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის თერთმეტიდან საღამოს რვა საათამდე. ორივე დარბაზი კეთილმოწყობილია: გვაქვს სხვადასხვა ტრენაჟორი, ახლო მომავალში კი კომპიუტერული ტრენაჟორების ყიდვას ვაპირებთ.
დარბაზში ერთი თვე თორმეტჯერადი ვარჯიში 25 ლარი ღირს. ფასის შესაბამისად — მომსახურებაც სათანადოა. ყველა, ვინც მოდის, კმაყოფილია. ზამთრობით უფრო მეტია გოგონები. ამბობენ, გაზაფხულზე პალტოს რომ გაიხდით, კაბებში მოხდენილები უნდა გამოჩნდეთო. ჩინებულად ახერხებენ ფორმის შენარჩუნებას. თავადაც დარწმუნდებით...
დარბაზში სხვადასხვა ასაკისა და წონის გოგონები ვარჯიშებს უკვე ამთავრებდნენ გამოცდილი მწვრთნელის ალექსანდრე დავთიანის ხელმძღვანელობით. რომ გაიგეს, ფოტო უნდა გადამეღო, ზოგმა დაიმორცხვა: ერთ-ორ თვეში წონას რომ დავიკლებთ, მერე იყოსო. ზოგი კი სიამოვნებით დამთანხმდა ფოტოგადაღებაზეც და მცირე საუბარზეც...
**თამუნა ჟელიძე, სამხატვრო აკადემიის მე-3 კურსის სტუდენტი:** ორი წლის წინათ ჩემი მეგობრის ნანუკა მირცხულავას რჩევით მოვედი აქ. არ დაიჯერებთ, მაშინ 85 კილო ვიყავი, ახლა მხოლოდ 56 კილოგრამს ვიწონი. ასე მგონია, ჩიტივით დავფრინავ, არ ვიცი, რა არის ავადმყოფობა. პირველ კურსზე რომ ჩავაბარე, მეოთხე სართულზე გული ხელით ამქონდა. ახლა სარკეში ჩახედვის არ მეშინია.
**ნათია თაბორიძე, თბილისის ოთხმოცდამესამე სკოლის მეცხრეკლასელი:** მესამე თვეა, ვვარჯიშობ და უკვე ხუთი კილო დავიკელი. მინდა მოხდენილი და ელასტიური ვიყო, რადგან ცეკვაზე დავდივარ და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ ჩინებული გარემოა, კარგად გვემსახურებიან, დარბაზში სისუფთავე და სითბოა, ცხელი შხაპიც ყოველთვის არის.
**ეკა სეთურიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტი:** პირველ კურსზე ვიყავი, ამ დარბაზში რომ მოვედი. მესამე კურსზე გავთხოვდი და ვარჯიშს დროებით მივანებე თავი. ორი თვის წინათ შვილი შემეძინა. ახლა ცოტა ხნით შემიძლია მისი დატოვება და კვლავ დარბაზს მოვაშურე. მწვრთნელს ვარჯიშების ჩინებული პროგრამა აქვს. იგი საშუალებას გვაძლევს, წონაშიც დავიკლოთ და ფორმაც შევიცვალოთ. თანაც, ისე ვამთავრებთ მეცადინეობას, რომ დაღლას ვერც კი ვგრძნობთ, თუმცა დატვირთვას საკმაოს ვიღებთ.
... ამასობაში გოგონებმა ვარჯიში დაამთავრეს, სამხაპეს მიაშურეს. მორიგი ჯგუფის მოსვლამდე **ალექსანდრე დავთიანი** დავიმარტოხელე.
— ჩვენთან ყოველდღიურად ასზე მეტი ქალი დადის, — მეუბნება მწვრთნელი, — მათი მოსვლის მიზეზი სხვადასხვაა: ზოგს სქოლიოზი აწუხებს, ზოგს ზედმეტი წონა, გოგონების გარკვეულ ნაწილს ფორმის შენარჩუნება, ან შეცვლა სურს. ამის გათვალისწინებით, შედგენილი გვაქვს ვარჯიშების კომპლექსი, რომელიც იოგების, შეიპინგისა და აერობიკის ელემენტებსაც შეიცავს. გენეტიკის გათვალისწინებით, ვცდილობთ ალვადგინოთ და დავხვეწოთ კუნთების შესაძლებლობა, ვცვლით მათს ფორმას. გვაქვს ისეთი ვარჯიშებიც, რომლებიც ხელს თეძოს და მკერდის მოყვანილობას, ამაგრებს მკერდისა და ზურგის კუნთებს, ფიგურის კორექციასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ხერხემლის ფუნქციის აღდგენასა და შესწორებას.
და მაინც, მოვარჯიშეთა უმეტეს ნაწილს წონის დაკლება სურს. შედეგები მართლაც ჩინებული გვაქვს. თამუნამ უკვე გითხრათ, რომ ორ წელიწადში 29 კილოგრამი დაიკლო. 10-15-20 კილოგრამის დაკლება ჩვენთან ჩვეულებრივი ამბავია. მახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინათ სავარჯიშოდ მოვიდა მარინა ვავილოვა, რომელიც 128 კილოგრამს იწონიდა. იმდენი მოახერხა, რომ 68 კილოგრამამდე გახდა, მერე გათხოვდა და საქართველოდან წავიდა.
საგულისხმოა, რომ წონის დაგდება მარტო ვარჯიშებით არ ხდება. მეთოდიკის გათვალისწინებით, ჩვენთან მომეცადინეებს ვურჩევთ, საუზმეზე, სადილად და ვახშმად რა და რა რაოდენობით ჭამონ, რომელ საკვებ პროდუქტს უნდა ერიდონ გარკვეული დროის განმავლობაში, შეჩვეული რაციონი შეამცირონ და სხვა საკვებით მოახდინონ მისი კომპენსაცია.
სანამ ჩვენ ამ საუბარში ვიყავით, დარბაზი მოვარჯიშეთა ახალი ჯგუფით აივსო. მწვრთნელმა საათს დახედა, მერე მოგვებოდიშა და ქალიშვილებისკენ მიბრუნდა.
საამო ჰანგები სითბოსავით დაიღვარა დარბაზში.
მორიგი მეცადინეობა დაიწყო.

**ვაჟა დანელია.**
**სურათებზე:** დარბაზში ვარჯიშისას.
ავტორის ფოტო.

## მსხვერპლი... სილამაზისთვის








ფეხბურთი

# „შევარდენი“ შევარდნოზს

ახლახან საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტადიონზე ამავე უმაღლესი სასწავლებლის სპორტულ კლუბ „ბერმუხას“ (ხელმძღვანელი — ტარიელ ბოლაშვილი, სპორტისა და ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგე — დოდო ქორქოლიანი) ინიციატივით გაიმართა 1984 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ტურნირი სახელოვანი ქართველი ფეხბურთელის კახი ასათიანის სახელობის თასზე. ასპარეზობაში 10 გუნდი მონაწილეობდა.
თავიდანვე გამოიკვეთა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საფეხბურთო კლუბ „შევარდენის“ (მწვრთნელი — ამავე უმაღლესი სასწავლებლის სპორტისა და ფიზიკური აღზრდის კათედრის უფროსი მასწავლებელი ვახტანგ ბაქანიძე) უპირატესობა. შევარდენელებმა ფინალში შეჯიბრების საუკეთესო მოთამაშის, თავდამსხმელისა და ბომბარდირის (17 გოლი) — სოსო მაჭავარიანის ზუსტი დარტყმებით 2:0 დაჯაბნეს რუსთავის „მეტალურგი“ და მთავარი პრიზი მოიპოვეს.
გაგაცნობთ გამარჯვებული გუნდის ძირითად ბირთვს: მანუჩარ ხახუბია, ირაკლი ხარებავა, დავით ფოფხაძე, ვანო კოროლიოვი, კოტე დარსანია, მიხეილ ოქიტაშვილი, დავით პოპიაშვილი, ირაკლი ქუბერია, რამაზ სიჭინავა.
მესამე საპრიზო ადგილი მასპინძლებმა — „ბერმუხას“ ყმაწვილებმა დაიკავეს, რომლებმაც 4:2 სძლიეს „დიდგორს“.
წარმოგიდგენთ ტურნირის გამორჩეულ მონაწილეებსაც, რომელთა მზარდი ოსტატობაც სპეციალური ჯილდოებით აღინიშნა: რეზო გოგოლაძე, ირაკლი გუდაძე (ორივე — „შევარდენი“), მამუკა სელაპანოვი („ბერმუხა“) და ნუკრი გოროზია („მეტალურგი“).
საუკეთესო გუნდის მომზადებისათვის სამახსოვრო პრიზი დაიმსახურა ჩემპიონთა აღმზრდელმა ვახტანგ ბაქანიძემ, რომელმაც ჩვენთან საუბარში საგულისხმო მაგალითი მოიყვანა: იქნებ ქართველმა ბიზნესმენებმა ტელესერიალ „დინასტიის“ პერსონაჟს ბლეიქ ქერინგტონს მიბაძონ, რომელიც ერთ-ერთ საფეხბურთო კლუბს მეცენატობს. სპონსორი „შევარდენსაც“ ჰაერივით სჭირდება. პერსპექტიული მოზარდებით დაკომპლექტებული ეს გუნდი თურმე სერიოზულ ფინანსურ სიძნელეებს განიცდის. ასე რომ, სიტყვა თქვენზეა, კეთილო ხალხო!
როგორც შევიტყვეთ, ამ კარგად ორგანიზებული ტურნირისათვის ჩრდილი მიუყენებია იმას, რომ დაჯილდოებაზე ვერ მობრძანდა ბატონი კახი ასათიანი. მისი თუნდაც გამოჩენა ხომ გარკვეული სტიმული იქნებოდა ჭაბუკებისათვის? აღარაფერს ვამბობთ იმ კურიოზზე, რომ კახი ასათიანის სახელობის თასი და სპეციალური პრიზები ლაურეატებს სხვებმა გადასცეს.



**გია პლატონიშვილი.**
ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.

კალათბურთი

# მოსეშვილის დებიუტი

დღეს საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ მატჩს ვენტსპილსში ლატვიელებთან გამართავს, 28 თებერვალს კი სიენაში კონტინენტის ვიცე-ჩემპიონებს — იტალიელებს შეხვდება.
ახალი მთავარი მწვრთნელის — ლევან მოსეშვილის სადებიუტო ტურნეზე გამგზავრებამდე ჩვენმა გუნდმა საწვრთნელი შეკრება მოსკოვში მოაწყო და ორი ამხანაგური მატჩიც გამართა. მან ჯერ ადგილობრივ „ხიმკს“ დიდი უპირატესობით მოუგო, ხოლო შემდეგ მძაფრ ბრძოლაში ცსკა-სთან დამარცხდა — 68:76. შედეგიანად ითამაშა ხოშტარიამ — 19 ქულა.



დაზუსტება

22 თებერვლის „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ნუგზარ შველიძის წერილი „ქურხადაძეების ანგარიში... საკუთარ თავთან“, რომელშიც გაიპარა კორექტურული შეცდომა. ნაცვლად „იგი ეხება თბილისის „დინამოს“ და კიევის „დინამოს“ მეტად გახმაურებულ მატჩს კიევში, რომელიც შედგა 1995 წლის აგვისტოში“, უნდა იყოს „1959 წლის აგვისტოში“. შემდეგ როგორც ტექსტშია.

უძღვება
ანზორ ბასილაია.

## რწმენა

# დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისა

მე-9 საუკუნეში იმპერატორ თეოფილეს დროს წმიდა ხატების წინააღმდეგ სამინელი დევნა მძვინვარებდა. მისი ბრძანებით იმპერიის ქალაქებსა და სოფლებში დაგზავნილ საიდუმლო მსტოვრებს გაძრებიდან გამოჰქონდათ უწმიდესი ხატები და საჯაროდ წვავდნენ, ხოლო ისინი, რომლებიც ხატთაყვანისცემაში იქნებოდნენ შემჩნეული, წამებით სიკვდილს ექვემდებარებოდნენ.

იმ დროს ქალაქ ნიკეის მახლობლად ერთადერთ ვაჟიშვილთან ერთად ცხოვრობდა მდიდარი და კეთილმორწმუნე ქვრივი, რომელსაც შინ ყოვლაწმიდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი ჰქონდა. დედაკაცს მის მიმართ უსაზღვრო სიყვარული და სასოება გააჩნდა. თავის სახლში მოწყობილ პატარა ეკლესიაში იგი ხშირად გულმხურვალედ ლოცულობდა ამ წმიდა ხატის წინ. მასთან მისულმა მეფის მსტოვრებმა ქვრივი ხატთაყვანისცემაში დაადანაშაულეს და მკაცრად უთხრეს: „მოგვეცი ფული, თორემ ახლავე აღვასრულებთ მეფის ბრძანებას და წამებით მოგკლავთ". ღვთისმოსავმა ქალმა შეჰპირა მეომრები, რომ მეორე დღემდე მოეცადათ და შეპირებულ თანხას მისცემდა. როდესაც მეფის წარგზავნილები წავიდნენ, მან ერთადერთ ძესთან ერთად ეკლესიას მიაშურა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე დაემხო. ხელაპყრობილი დიდხანს ლოცულობდა. ლოცვის დროს მისი ცრემლები მიწას ეპკურებოდა, შემდეგ ხატი აიღო და ძრწოლითა და ღვთისმოსავი სასოებით წააბრძანა ზღვის ნაპირას. შემდეგ ქვრივმა იგი ზღვაში ჩაუშვა და მყის იხილა ღვთის საკვირველი სასწაული, წყლის ზედაპირზე აღმართული წმიდა ხატი ტალღებთან ერთად დასავლეთისაკენ დაიძრა.

ერთ დღეს ივერონის მონასტრის ბერებმა ზღვის ზედაპირიდან ცამდე აღმართული სვეტი შენიშნეს. ეს სასწაული რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში კვლავ განმეორდა. მახლობელი მონასტრებიდან შეკრებილმა ბერებმა ზღვის სანაპიროზე მოიყარეს თავი და შეამჩნიეს, რომ ცეცხლოვანი სვეტი ღვთისმშობლის ხატზე იყო აღმართული. ივერონის მამები საეკლესიო გალობით გავიდნენ ზღვის ნაპირზე. ბერი გაბრიელი სასწაულებრივად გაიარა ზღვის ტალღებზე და ღვთისმშობლის ხატს კრძალვითა და სასოებით გამოაბრძანებს ნაპირზე. ღვთიური სიხარულით აღვსილი ძმები, იქვე, პატარა სამლოცველოს მოაწყობენ და სამი დღე-ღამის განმავლობაში დაუცხრომლად სამადლობელ პარაკლისებს აღუვლენენ მოწყალე უფალს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ამ წმინდა ადგილების მოგზაურის გერასიმე ნადარეიშვილის მონათხრობი, რომელიც მას სარწმუნო გადმოცემით შეუტყვია: „ზღვაში შესული გაბრიელი ისე გაივლის მის ზედაპირზე, როგორც ხმელეთზე და ღვთისმშობლის ხატიც შემოეგებება მას. წყლიდან გამოსვლისთანავე იგი ნაპირა რიყეზე წაბორძიკდება და ქვიშაზე მუხლით დაიჩოქებს. მუსტად იმ ადგილას ტკბილი წყარო ამოსჩქეფს, რომელიც მის დრომდე ყოფილა ქვითკირის გალავნით შემოზღუდული.

აქედან ოცი ნაბიჯის მოშორებით მდგარა გუმბათოვანი ეკლესია, სადაც დაუსვენებიათ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი. შემდეგ კი მონასტრის საკურთხეველში გადაუბრძანებიათ. მეორე დღეს ერთ-ერთ ბერს, რომელსაც საკურთხეველში კანდელი უნდა აენთო, ხატი ადგილზე აღარ დახვედრია. დიდი ძებნის შემდეგ ბერებს იგი მონასტრის კარიბჭის კედელზე აღმოუჩენიათ. სასწაული ზედიზედ რამდენჯერმე განმეორებულა. როგორც კი ბერები მას საკურთხეველში შეაბრძანებდნენ, მეორე დილით კვლავ კარიბჭის კედელზე პოულობდნენ. ბოლოს ყოვლადწმიდა ქალწული კვლავ გამოცხადებია გაბრიელს და უბრძანებია: „აუწყე ძმებს, რომ არ მნებავს, ვიყო თქვენს მიერ დაცული, არამედ უფრო ის მსურს, თავად ვიყო თქვენი მცველიცა და მფარველიც, არამარტო ახლა, ამ წუთიერ ცხოვრებაში, არამედ მომავალშიც. დაე, ყველა ბერი სასოებდეს ჩემს ძესა და ღმერთს, რომლებიც კი ღვთის შიშითა და სასოებით სათნოდ იმოღვაწებენ ამ წმიდა მთაზე. მე გამოვითხოვე მისგან ნიჭი, რომელიც ნუგეშად და სასწაულად იქნება თქვენთვის. ვიდრე ამ სავანის მკვიდრნი ჩემს ხატს ხედავენ, მანამ არ მოაკლდება მათ მადლი და წყალობა ჩემი ძისა". როდესაც გაბრიელის ეს გამოცხადება მოისმინეს, ბერები გამოუთქმელი სიხარულითა და მადლიერებით აღივსნენ. კარიბჭის მახლობლად მათ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელზე მცირე ზომის ტაძარი ააგეს და მისი სასწაულმოქმედი ხატი იქ დააბრძანეს. იმ დღიდან ის იქ იმყოფება, რის გამოც იწოდება იგი პორტაიტისად ანუ კარიბჭისად.

საუკუნეების მანძილზე ივერიის ღვთისმშობლის ხატს პატივი და თაყვანისცემა არ მოჰკლებია ქართველთა მხრიდან. XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ხატი სამცხის ათაბაგების ღვაწლითა და საფასით ქართველი ოსტატის მიერ იქნა მოჭედილი, ხოლო XVII საუკუნეში აშენდა ამ წმ. ხატის სახელობის ტაძარი (აღმშენებელი — ამოთან მუხრანბატონი).

ღვთის დიდი განგებითა და ყოვლაწმიდა ღვთისმშობლის ლოცვაკურთხევით 1989 წლის 21 სექტემბერს — ღვთისმშობლის დაბადების დღეს — საბერძნეთს გაემგზავრა საქართველოს ეკლესიის დელეგაცია, რათა ათონიდან საქართველოში ჩამოესვენებინათ ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, ანუ როგორც მას ბერძნები უწოდებენ „პორტაიტისას" სასწაულმოქმედი ხატის ასლი, რომელიც ათონელმა ბერებმა შეასრულეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II თხოვნით.

**ლელა დონაძე.**

**P. S. სხვათა შორის, რუსეთში შავი ჭირის ეპიდემია სწორედ ივერიის ყოვლადწმიდა ხატის ჩამოსვენების შემდეგ შეწყდა და აღარც გამეორებულა. გვფარავდეს!**

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.



# გილოცავთ!

ძვირფასო ქალბატონო ლუბა! — ხაფიცარ დედას, ბებიას, უნაკლო პედაგოგს, რწმენითა და სიკეთით სავსე პიროვნებას, ჯაფარიძეების ღირსეული გვარის ერთ-ერთ რჩეულს, ბარათაშვილების სანაქებო რძალს, სამი ბრწყინვალე შვილის და ხუთი შვილიშვილის გამზრდელს დღეს, 25 თებერვალს 75 წელიწადი შეგისრულდათ. მთელი თქვენი პედაგოგიური ცხოვრება ბავშვებზე ზრუნვით, მუხლჩაუხრელი შრომით განვლეთ ზესტაფონის მეორე სკოლაში. დღესაც იმედად ეგულებით ოჯახს ზემო იმერეთის სოფელ ძლოურდანეთში. შვილები და შვილიშვილები კიდევ ერთხელ ჩამოვლენ და გულში ჩაგიკრავენ, მადლიან ქალობას დაგილოცავენ და დღეგრძელობას გისურვებენ. ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა გაცოცხლოთ, ჯაფარიძე-ბარათაშვილების დიდო ქალბატონო!

შვილების მეგობართა სახელით,
სპარტაკ ქობულია.

## განცხადება

სააქციო საზოგადოება «სენაკის პურკომბინატის» მორიგი კრების მოწვევის შესახებ

საქციო საზოგადოება „სენაკის პურკომბინატის" დირექტორი იწვევს საქციო საზოგადოების აქციონერებს სს მორიგ საერთო კრებაზე. კრება გაიმართება 1998 წლის 16 მარტს, ქ. სენაკში ჭყონდიდელის ქ. №10 ტელ: 2-17-47.

დღის წესრიგი

1. 1997 წლის წლიური ანგარიში:
   ა. წლიური ანგარიშის წარმოდგენა დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთად;
   ბ. მოგების განაწილებისა და ზარალის დაფარვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
2. დირექტორის ანგარიშის დამტკიცება;
3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
4. 1998 წლისათვის აუდიტორის არჩევნების შესახებ.

---

სააქციო საზოგადოება „თბილღვინოს" კოლექტივი ულოცავს ოთარ გვეტაძეს, წარმოების სამეურნეო ნაწილის უფროსს — სამამულო ომისა და შრომის ვეტერანს დაბადებიდან 75-ე წელს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ შრომას, უღრუბლო ზეცას, ბედნიერ საქართველოს.

დირექტორი ნ. სუპატაშვილი.

---

თელავის სააქციო საზოგადოება „სანტექარმატურის" ქარხნის დირექცია აცხადებს, რომ 1998 წლის 18 მარტს 18 საათზე შედგება ამავე ქარხნის აქციონერთა კრება ქ. თბილისში სახელმწიფო კომპანია „საქენერგოს" სააქტო დარბაზში. აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.

სს „სანტექარმატურის" დირექცია.

## ხსოვნა



### მალხაზ აბდუშელიშვილი

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, საქართველოში ანთროპოლოგიური კვლევის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **მალხაზ გრიგოლის ძე აბდუშელიშვილი.**

იგი დაიბადა 1926 წელს საჩხერის რაიონის სოფ. გორისაში. 1948 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში ანატომია-ანთროპოლოგიის სპეციალობაზე. 1951 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სამთავროს სამაროვანის პალეოანთროპოლოგია". წლების მანძილზე იგი ნაყოფიერად მუშაობდა ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში.

1964 წელს მ. აბდუშელიშვილმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია მოსკოვში, მიკლუხო-მაკლაის სახელობის ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. სულ მალე მას მიენიჭა პროფესორის წოდებაც.

1965 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, ანთროპოლოგიის განყოფილება გაიხსნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, რომლის უცვლელი ხელმძღვანელი მ. აბდუშელიშვილი იყო.

თვალსაჩინო სამეცნიერო მიღწევებისათვის 1979 წელს მ. აბდუშელიშვილს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა, ხოლო 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ქართული მეცნიერების წინაშე დამსახურებისათვის მ. აბდუშელიშვილი „ღირსების ორდენით" დაჯილდოვდა.

მ. აბდუშელიშვილის სამეცნიერო გამოკვლევები, რომელთა რიცხვი ასს აღემატება, ძირითადად შეეხება საქართველოს და კავკასიის სხვა ქვეყნების, აგრეთვე, ინდოეთის მოსახლეობის ანთროპოლოგიას. იგი მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ანთროპოლოგიურ ექსპედიციებს ინდოეთში.

თავისი სამეცნიერო მუშაობის დასაწყისშივე მ. აბდუშელიშვილმა აკად. ა. ნათიშვილთან ერთად შექმნა კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური კლასიფიკაცია. მ. აბდუშელიშვილის სახელთან არის დაკავშირებული დღეს საყოველთაოდ აღიარებული კავკასიონური ანთროპოლოგიური ტიპის გამოყოფა. მისი ფუნდამენტური გამოკვლევები იბეჭდებოდა ქართულ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და სხვა ენებზე. მას კარგად იცნობდნენ მოსკოვის, კიევის, კემბრიჯის, კალკუტის, ტოკიოს სამეცნიერო წრეებში.

მ. აბდუშელიშვილი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და კონგრესებში. მოხსენებებით გამოვიდა ანთროპოლოგთა საერთაშორისო კონგრესებზე იაპონიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინდოეთში.

წავიდა ჩვენგან ჩინებული მამულიშვილი და თავისი საქმის დიდი ენთუზიასტი, საუკეთესო მეგობარი, კოლეგა. მ. აბდუშელიშვილის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი მეგობრების, ახლობლებისა და მოწაფეების მეხსიერებაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი;
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება;
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.

### გურამ ჭკუასელი



60 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი, უმაღლესი კვალიფიკაციის ინჟინერი, კეთილსინდისიერებით გამორჩეული ხელმძღვანელი, ენერგეტიკული დარგის ღრმად მცოდნე და მისი დიდი პატრიოტი — **გურამ ჭკუასელი.**

დიდებული შრომითი ტრადიციებით აღიზარდა იგი ქვეყნის ენერგოსისტემაში და 35 წლის განმავლობაში თავდადებით და სიყვარულით ემსახურებოდა ამ დარგს. ახალგაზრდა სპეციალისტთა საინსტიტუტო განაწილებით მოვიდა ბატონი გურამი ამიერკავკასიის ენერგოსისტემის გაერთიანებულ სადისპეტჩერო სამმართველოში, გაიარა თანამდებობრივი საფეხურები მორიგე დისპეტჩერიდან ელექტროენერგეტიკული რეჟიმების სამსახურის უფროსამდე.

1974 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე უცვლელად „საქმთავარენერგოში" იყო. მუშაობდა თანამდებობებზე: ცენტრალური სადისპეტჩერო სამსახურის უფროსის მოადგილის, მთავარი სამმართველოს უფროსის თანაშემწის, ელექტროტექნიკური მოწყობილობის ექსპლუატაციის მაღალი ძაბვის სამსახურის უფროსის, ენერგოსისტემის მთავარი ინჟინრის მოადგილის, გორის ელექტროქსელის და მაღალი ძაბვის საქსელო საწარმოების დირექტორის, ენერგეტიკის საკავშირო სამინისტროს სახელმწიფო ინსპექციის მთავარი ინჟინერ-ინსპექტორის, საქართველოს ენერგოსისტემის ექსპლუატაციის დირექციის დირექტორის და 1996 წლიდან სახელმწიფო ენერგოკომპანია „საქენერგოს" ჩამოყალიბების შემდგომ, მისი ექსპლუატაციისა და რემონტების სამმართველოს უფროსად. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში დაინიშნა სახაზინო საწარმო „ენერგოსისტემის ელექტროგადამცემ ნაგებობათა საწარმოს" დირექტორის მოადგილედ, იწყებდა ჩვეული შემართებით მუშაობას, მაგრამ აღარ დასცალდა...

დიდია გურამ ჭკუასელის პირადი წვლილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სასწრაფო ფინანსური დახმარების პროგრამების „ენერგეტიკა II" და „ენერგეტიკა III"-ის განხორციელების საქმეში, რომლებიც საქართველოს ენერგოსისტემის 220-500 კვ. ელექტროქსელის რეაბილიტაციას ითვალისწინებს. ბატონი გურამის პიროვნულმა თვისებებმა და დარგის ღრმა ცოდნამ მოხიბლა გერმანელი კოლეგები, რამაც დასაბამი მისცა ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შემდგომ გაგრძელებას.

ბატონმა გურამმა, ჭეშმარიტმა თბილისელმა, დახვეწილმა ინტელიგენტმა, თავისი ღრმა ცოდნით საუკეთესო პირადული თვისებების წყალობით შემოქმედებითი შრომის ნათელი კვალი გამოკვეთა. გარეგნულმა ხიბლმა, ბუბუნა ხმამ, მუდამ მომღიმარმა სახემ თანაგრძნობის, მიმტევებლობის და ზომიერების გრძნობამ, რომელიც ნებისმიერ სიტუაციაში თან ახლდა, ენერგეტიკოსთა დიდი კოლექტივის გულწრფელი და საყოველთაო სიყვარული მოუხვეჭა მას.

ქართველმა ენერგეტიკოსებმა გურამ ჭკუასელის სახით დაკარგეს უსაყვარლესი პიროვნება, უანგარო მეგობარი, საოცრად თავმდაბალი და იმავე დროს პროფესიის სიყვარულით ანთებული უბადლო ინჟინერი.

ენერგეტიკული საზოგადოება სამუდამოდ ვალში დარჩა ბატონი გურამის დამსახურების წინაშე.

დიდი სიყვარულით და სინანულით ამ უმძიმესი დანაკარგის გამო

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო;
სახელმწიფო ენერგოკომპანია „საქენერგო";
„ენერგოსისტემის ელექტროგადამცემ ნაგებობათა საწარმო";
სახელმწიფო ენერგოკომპანია „საქენერგოგენერაცია";
დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭო.

## ხსოვნა



### ღირსეული მამულიშვილი

ცხოვრებაში სიხარულს ყოველთვის ტკივილი ენაცვლება, ეს კანონზომიერია, მაგრამ ჩვენ ამ ბოლო დროს სიხარული ნაკლებად გვეწვევა ხოლმე, სამაგიეროდ, ტკივილი მოუშორებლივ თან გვდევს.

ტკივილიც არის და ტკივილიც. ის, რაც ბატონი **ვახტანგის** უდროოდ წასვლამ მოგვაყენა, ალბათ, უზომოა, ძალზე დიდია იმისათვის, რომ ერთბაშად გაიცნობიეროს ადამიანმა.

ვახტანგ ესვანჯია ის დიდი ქართველი გახლდათ, ვინც ჩუმად, უანგაროდ აკეთებდა თავის საკეთებელს, სითბოს, სიხარულს, იმედს თესდა მოძმეთა სულში. წლების განმავლობაში იტალიისა და საქართველოს დაახლოებისათვის, მათი ურთიერთკავშირის განმტკიცებისათვის იღვწოდა. ფუტკარივით ჩუმად, დიდი რუდუნებით აშენებდა იმ მყარ ხიდს, რომელიც დღეს ამ ორ ქვეყანას შორისაა გადებული.

ბატონი ვახტანგი პირველი იყო, ვინც იმ ავადმოსაგონარ 1993 წელს, სოხუმის დაცემის შემდეგ, ზარდაცემულებსა და საყრდენგამოცლილებს მხარში ამოუდგა. დიდმა ჰუმანისტმა კარგად განჭვრიტა, ეს უფრო სჭირდებოდა ხელის შემეწევა, სულიერი იარის მოშუშება. „მთავარი ბავშვებია, მათი გადარჩენა" — ეს გახდა მისი კრედო და ამ მიზნით ოთხი წლის განმავლობაში 600-მდე ფიზიკურად თუ ფსიქოლოგიურად ტრავმირებული აფხაზეთიდან დევნილი ბავშვი წაიყვანა იტალიაში, შესძინა მათ მეგობრები, თანამდგომები, დაუბრუნა ძალად წართმეული ბავშვობა და სიხარული.

მართალია, ბევრჯერ გულიც ატკინეს უსამართლო ბრალდებებითა თუ პასკვილებით, მაგრამ ბატონი ვახტანგი ჭეშმარიტი ქართველი იყო, კარგად იცოდა, საქართველოში არც ერთი კეთილი საქმე მოშურნეთა გესლიან გამოხდომებს არ ასცდენია. ამიტომაც ჩვეული გულმოდგინებითა და წრფელი სულით აგრძელებდა სამშვილიშვილო საქმეს.

იმ ობოლ ბავშვებს, ვისაც ომმა განუსაზღვრელი ტკივილი მიაყენა, არასოდეს დაავიწყდებათ მათზე მზრუნველი კეთილი კაცი, ვინც ლამაზი ოცნებები აუხდინა მათ და უზომო ადამიანურ სითბოს აზიარა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული, ბატონო ვახტანგ. მსუბუქი იყოს თქვენთვის სანუკვარი ქართული მიწა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ერქვანია.

### ნოდარ ალანია



ჩვენთვის, შენი უახლოესი მეგობრებისათვის შემზარავია იმის გაფიქრება, რომ დღეიდან ჩვენს შორის აღარ იქნები. აღარ იქნები ფიზიკურად, თორემ ჩვენს ხსოვნაში არასოდეს გახუნდება შენი კაცურ-კაცობის მადლი, სიკეთით, სიყვარულით და სითბოთი გალეული ცხოვრება. ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ორმაგად მძიმეა შენი გარდაცვალება. შენ ხომ ჩვენი ოჯახის ფუძემტკიცობის მედასტურე — მეჯვარე იყავი.

მსუბუქი ყოფილიყოს ძმაო, **ნოდარ** შენთვის ქართული მიწა. ჩვენ აქედან ვილოცებთ შენი ნათელი სულის ხსოვნისათვის, სასუფეველში მოხვედრისათვის.

სულიკო ციცვიძე ოჯახით.

---

ვალიდა ქარდავა, გია, მერაბ, მერთამ, სოფიკო მთერალაშვილები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ძვირფასი სიძის

ნუკრი ბოჩიას ძე პატარაიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზურა, ელისო პატარაიები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

ნუკრი პატარაიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ვაჟა-ფშაველას გამზირის პირველი კვარტალის 26-ე კორპუსის მცხოვრებლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ვია პირველის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

სახელმწიფო კომპანია „საქენერგო" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ენერგოსისტემის ელექტროგადამცემ ნაგებობათა სახაზინო საწარმოს დირექტორის მოადგილე

გურამ პეტრეს ძე ჭკუასელი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

სააქციო საზოგადოება „კავკასელექტროქსელმშენის" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სახელმწიფო კომპანია „საქენერგოს" ექსპლუატაციისა და რემონტების სამმართველოს უფროსი

გურამ პეტრეს ძე ჭკუასელი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

წყნეთის აგარაკების სამმართველოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნინო ბუხრაშვილს მამის

ავთანდილ ბუხრაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

შვილები თენგიზ, კოტე გრძელიძეები, შვილიშვილები გრიშა, კატია, მარიამ იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარიამ ტუროვა-გრძელიძე

პანაშვიდი 26, 27 II, 5 სთ. გამოსვენება 28, II, 3 სთ. დიღმის მასივი, II კვ. 14 კორპ. IV სად. VI სართული.

---

მეუღლე თამარ კორძაია, შვილები თიკა, მარინე, შვილიშვილები ნუცა, გიორგი, თაკო, დისწული თაგული, ძმისწულები მელიტა, მერაბ, მერი, ვექტორ, გუგა, მურზაყან იოსელიანები, რძლები თამარ, არიკო, ირა, სიძეები დიმიტრი ქართველიშვილი, გივი კარტოზია, ქართლოს დარჩია, გოგი ქორქაშვილი, ცოლისდა თინა კორძაია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პეტრე ონისიმეს ძე იოსელიანი

პანაშვიდი 26, 27, II, 4 სთ. გამოსვენება 28 II, 3 სთ. ბარნოვის ქ. 71

## გახსენება

### ზაქრო ლუჭაშვილი



ადამიანის ხსოვნა ავსებს და აფაქიზებს ჩვენს სულს. ნიჭიერი, შრომისმოყვარე, კეთილშობილი ახალგაზრდა კაცი — ზაქრო ლუჭაშვილი სამი წელია გამოაკლდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თანამშრომელთა რიგებს.

ენერგიული და შემართებით აღსავსე სტუდენტების, მომავალი მეცნიერების გზის გამკვალავს — იურიდიული ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ გივი ინწკირველს, არც ზაქრო ლუჭაშვილის მოწოდება დარჩა შეუმჩნეველი და ჯერ კიდევ მეხუთე კურსის სტუდენტს სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრაზე შესთავაზა მუშაობის გაგრძელება. შემდეგ ასპირანტურისკენ გაუხსნა გზა.

ვინ იცის, კიდევ რამდენი წარმატება ელოდა წინ თავისი საქმის მცოდნე და ერთგულ ახალგაზრდა კაცს, რომ არა ბედისწერა.

პროფესიის სიყვარული და პიროვნული ღირსებები ალამაზებს და გამოარჩევს ადამიანს. ეს ყოველივე ერთად იყო შერწყმული ზაქრო ლუჭაშვილის პიროვნებაში.

მშობლები, ახლობლები, მეგობრები, თანამშრომლები დღესაც დიდი სიყვარულით და მოწიწებით ვატარებთ ზაქრო ლუჭაშვილის ხსოვნას.

არ გვავიწყდება მის შეუდარებელ იუმორთან შერწყმული, ახალგაზრდა კაცისათვის უჩვეულო სიბრძნე და სიდარბაისლე.

ზაქრო ლუჭაშვილის სიყვარულს, მისი პიროვნების ხსოვნა გამოხატა იურიდიული ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ, როდესაც მის უმცროს ძმას, ზურაბ ლუჭაშვილს ჯერ კიდევ სტუდენტობისას საპატიო და საპასუხისმგებლო ტვირთი — ზაქროს ნაცვლად სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის თანამშრომლობა დააკისრა.

ზურაბმა მეტად ერთგულად და ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი იურიდიულ ფაკულტეტზე.

დღეს ზურაბი სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის ასპირანტია და ამავე დროს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თანაშემწე.

ადამიანის წლოვანება, თურმე, არ განსაზღვრავს საზოგადოებაში მის პატივისცემასა და სიყვარულს. მთავარია მისი ცხოვრების წესი. ასე ლამაზად იცხოვრა ზაქრო ლუჭაშვილმა და ასე ლამაზად გვახსოვს იგი დღესაც.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თანამშრომლები და მეგობრები.

---

მეუღლე ლამარა, შვილები ქეთი, ბუკა, შვილიშვილები ირინა, ტეო ესვანჯიები, ათო, გიორგი ბუზალაძეები, დები ვალე, ლენა, ვერა ოჯახებით, რძალი სილვი, სიძე კოკი გუგუშვილი, მძახლები, უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვახტანგ პართენის ძე ესვანჯია

პანაშვიდი 27, 28, II 4 სთ. გამოსვენება 1, III, 2 სთ. ი. ნიკოლაძის №7.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საზოგადოება „საქართველო-იტალიის" პრეზიდენტი

ვახტანგ პართენის ძე ესვანჯია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ქ. თბილისის არასახელმწიფო საერო იტალიური სკოლა „ცისკარი" ღრმა მწუხარებით იუწყება სკოლის დამფუძნებლის, საზოგადოება „საქართველო-იტალიის" პრეზიდენტის

ვახტანგ ესვანჯიას

გარდაცვალებას.

---

მეუღლე სამსონი, და ლოლა მჟავანაძე, მული თამარ ლოლელიანი ოჯახებით, შვილები ჯემალი, თამაზი, შვილიშვილები მარიკა, თეა, პაატა, ლევანი, დისწულები, ძმისწულები, მულიშვილები, მაზლიშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლიდა ნიკოლოზის ასული მველაძე-ნაცვლიშვილი

პანაშვიდი 26, 27, II, 4 სთ. გამოსვენება 28, II, 2 სთ. საგარეჯოს რაიონი, სოფელი გიორგიწმინდა.

---



# ნამდვილი ბორჯომი




Georgian Glass & Mineral Water Co. N.V.


საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი აბესალომ იეიდაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში, ხოშარაულის 29.